# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 10 იანვარი, 2012 წელი.

№5 (6882)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## ადამიანს რაც უფრო მაღალი აქვს თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა, მადლმოსილებაც მეტი მართებს

2 3

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე

## ცვლილებები კანონში ერთი კაცის წინააღმდეგ?

5

## ვიხაჩამაცი,

ანუ მე რისი თუ ვისი მრცხვენია?!

## სპეციალურად გაყალბებული მისამართი და მითვისებული თანხები

6

## მცირედი უკონტაქტო ექსპერიმენტი,

8

ანუ რატომ მოვინდა ამერიკული წერილების ხის ჩარჩოში ჩასმა და კედელზე ჩამოკიდება



## რაკი პარლამენტი მომენტალურად მოძველდა!...

4

## სიმონს დაუღბინესო – ნარუღბებით ბინესო...

9

## საქართველო ჩვენვე უნდა ვმართოთ და გადავარჩინოთ

7





**უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე**

# ადამიანს რაც უფრო მაღალი გამომდინარე, მადლმოსილებაც

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო! **„ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მოანიჭებს მადლს“** (I პეტრე 5.5). მადლობა უფალს, რომ კვლავ გავხდით ღირსნი, მოგვესმინა ანგელოზთა საოცარი საგალობელი: **„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“** (ლუკა 2.14). ყოვლადწმიდა სამების მოწყალებით **„სიტყვა ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის სავსე მადლითა და ჭეშმარიტებით“** (იოანე 1.14). დიახ, **„დღეს დავითის ქალაქში დაიბადა... მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“** (ლუკა 2.11) და უწოდებენ სახელად ემმანუელს, რაც თარგმანებით ნიშნავს: **„ჩვენთან არს ღმერთი“** (მათე 1.23). გიხაროდეთ, ერნო, **„რაც არ უხილავს თვალს, არ სმენია ყურს და არც კაცს გაუვლია გულში, ის განუმზადა ღმერთმა თავის მოყვარეთ“** (I კორ.27.6). მაშ, მივეახლოთ მას და თაყვანი ვსცეთ, ვითარცა მწყემსთა ბეთლემისათა და შევწიროთ ძვირფასი ძღვენი, ვითარცა მოგვთა აღმოსავლეთისათა. იგი მოვიდა ამქვეყნად, რათა მოუხმოს თავის ცხოვართ და აზიაროს ისინი ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ბედნიერებას. ვინ შეიძლება შემოგვთავაზოს უკეთესი არჩევანი? ანდა რა შეიძლება იყოს ამაზე მეტად სანუკვარი?! მაგრამ ამას ბევრი ვერ ხვდება, არამედ მხოლოდ ისინი, რომელნიც სიცოცხლის აზრს სწორად აცნობიერებენ. საერთოდ, ყოველი გონიერი ადამიანი ცდილობს, პასუხი გასცეს კითხვას — რისთვის არის ამ ქვეყანაზე და რა უნდა აკეთოს? ეს კი ცხოვრების საზრისის, ანუ სამყაროში თავისი ადგილის, პოვნას გულისხმობს.

თუმცა არსებობენ ისეთნიც, რომელნიც ასეთ კითხვას მთელი ცხოვრების მანძილზე არ უსვამენ საკუთარ თავს და მიწიერ ყოფას უმიზნოდ და, შესაბამისად, უაზროდ ამთავრებენ. საზოგადოების ნაწილი კი თავის მრწამსს, თავის დანიშნულებას საკუთარ წარმოდგენაზე, ან სხვადასხვა თეორიისა და რელიგიის სწავლების საფუძველზე აყალიბებს. მათი ქმედება, რა თქმა უნდა, მოტივირებულია და ხშირად წარმატებულიც ამ ქვეყანაზე, მაგრამ სულის ცხონება, რაც ყველაზე მთავარია და არსებითი, ამ გზით ვერ მიიღწევა. ყველასგან განსხვავებულია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე დაფუძნებული ცხოვრების საზრისი. მას შეიძლება „ქრისტესმიერი გონება“ ეწოდოს, რადგან იგი, პირველ რიგში, სულიწმიდის მადლმოსილებას გულისხმობს, შემდეგ კი ადამიანურ შესაძლებლობებს. **„ქრისტესმიერი გონის“ შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რასაც წმიდა პავლე მოციქული ჭეშმარიტ სიყვარულზე წერს, რომ იგი არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ შურს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ მოიწონებს უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფერს ითმენს, ყოველთვის იმედი აქვს.** ამ სულისკვეთებით ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები. ქართული სულის ერთ-ერთი სახასიათო თვისება შოთა რუსთაველმა ასე გამოთქვა: „რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“. ზოგიერთი ვერ ხვდება მის შინაარსს, რადგან, მიწიერი ლოგიკით, სხვისთვის მიცემული ნივთი თუ ქონება გამცემს აღარ ეკუთვნის და ეს ნათქვამი, ბუნებრივია, მისთვის გაუგებარია. არადა, აღნიშნული აფორიზმი შეიცავს ღრმა ქრისტიანულ სწავლებას ადამიანის უკვდავების შესახებ. მორწმუნეს სწამს, რომ მის მიერ აღსრულებული უანგარო ქველმოქმედება სათნოა ღვთისთვისაც და ადამიანისთვისაც. ამასთან, იცის, რომ რასაც გასცემს ამქვეყნიურ დროებით ყოფაში, მას მარადიულ ცხოვრებაში დაიუნჯებს და ეს არის მიზეზი მისი სულიერი სიხარულისა, ხოლო რასაც არ გასცემს, ბუნებრივია, ის მას მარადიულ ყოფაში მოაკლდება. ამიტომაც, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, მიცვალებულის სულისთვის, ლოცვასთან ერთად, მის სახელზე მოწყალების გაღება აუცილებელია, რაც დიდად შეეწევა გარდაცვლილს. სწორედ ასეთი აზროვნებიდან მომდინარეობს ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობა, ხელგაშლილობა, თანადგომისა და თავგანწირვის უნარი; ისიც, რომ იგი ყველაზე ძვირფასს, სიცოცხლეს, უშურველად წირავდა მოყვასისა თუ სამშობლოს საკეთილდღეოდ. ეს დამოკიდებულება იმდენად შეისისხლხორცა ჩვენმა ერმა, რომ იგი მის განუყოფელ თვისებად იქცა. „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“, — საუკუნეებია შთამომავლებს დევიზად გადაეცემათ ეს სიტყვები. ასე იზრდებოდნენ თაობები; რა თქმა უნდა, მათ შორის მუდამ იყვნენ კარიერისა და პირადი კეთილდღეობის სურვილით საკუთარი მეობისა და ქვეყნის ინტერესების ნებაყოფლობით უარმყოფელნი და საზოგადოებისთვის ცუდი მაგალითის მიმცემნი, მაგრამ დღემდე სწორედ იმიტომ მოვაღწიეთ, რომ ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი გაჰყვა არა მათ, არამედ ჩვენი ეროვნული მეობისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულებს. ახლა დრო შეიცვალა, თუმცა ბრძოლა ისევ გრძელდება; განსხვავება კი ის არის, რომ თუ ადრე დაპირისპირებული მხარეების საჯარისო ნაწილები ომობდნენ, ახლა ბრძოლა ადამიანის საზრისის, ანუ აზროვნების წესისთვის, მიმდინარეობს, რაც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით ხორციელდება; ძირითადად ამ გზით ვრცელდება ფსევდოკულტურა და ანტირელიგიურ ღირებულებათა სისტემები, რომელთა ქვაკუთხედი და მთავარი მამოძრავებელი ძალა ეგოიზმია. ეგოიზმის წინ წამოწევა კი ხელს უწყობს პიროვნებაში მომხმარებლური და მომხვეჭელური მისწრაფებების განვითარებას, რაც იწვევს საზოგადოების საერთო დეგრადაციას, ხოლო გარემოში — ეკოლოგიურ კატასტროფებს. უარყოფითი სა-



ინფორმაციო ველი ყველაზე მეტად მომავალ თაობაზე მოქმედებს. ისინი ხომ ცხოვრების დიდ ნაწილს ტელევიზორთან და ინტერნეტთან ატარებენ და, ფაქტობრივად, არავინ არის მათი სწორად ფორმირებისთვის ხელშემწყობი, რადგან სკოლაც და უმაღლესი სასწავლებელიც სათანადოდ ველარ ასრულებენ აღმზრდელობით ფუნქციას, არც მშობლებს სცალიათ შვილებისათვის; ეკლესიაც მასთან მისულთა მიმართ ძირითადად აღსარებითა და ზიარებით იფარგლება. ეს ასე აღარ უნდა გაგრძელდეს და რეალური ნაბიჯები უნდა გადავდგათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამისთვის კი არსებული ვითარება სწორად უნდა შევაფასოთ. ფაქტია, რომ ელექტრონული მასმედიით, უარყოფითთან ერთად, ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაციაც ვრცელდება ყველა სფეროში.

ეს არის გლობალიზაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე და სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ სათანადოდ. ვფიქრობთ, ამიტომაც კარგად უნდა ავითვისოთ ახალი ტექნოლოგიები და მათი საშუალებითაც უნდა გავუჩინოთ ახალგაზრდებს ღრმა აზროვნების სურვილი, ავისა და კარგის გარჩევის უნარი, გავუღვივოთ ინტერესი სხვადასხვა ქვეყნის ისტორიისა და კულტურისადმი, რათა დააფასონ სხვათა ღირსება და მათგან კეთილი შეითვისონ. მაგრამ ყოველივე ამას შეძლებს მხოლოდ ის, ვისაც მყარად აქვს ჩამოყალიბებული ეროვნულ-ქრისტიანული საზრისი. ამისთვის კი აუცილებელია, ვასწავლოთ მათ საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ქართული ფოლკლორი, კულტურა და ჩვენი ქრისტიანული ტრადიციები..., ჩვენ უნდა შევქმნათ კონკურენტუნარიანი საინფორმაციო გარემო, რომელიც ზემოაღნიშნულ ფასეულობებს დაეფუძნება და მათ თანამედროვეობასთან შეაზავებს. ეს კი დიდად დაეხმარება ახალგაზრდებს, დამოუკიდებლად გასცენ პასუხი დროის გამოწვევებს. ამაშია საქართველოს გადარჩენა.

**ახლა კი თქვენს ყურადღებას საქართველოს ისტორიაზე შევაჩერებ. სამწუხაროდ, ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობასა და ერის ერთიანობას უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ამის მიზეზი არის ის, რომ ცარიზმი და საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობდნენ, იგი არაობიექტურად წარმოეჩინათ. მათ არ სურდათ, ჩვენს ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, რადგან იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშიშროებას შეიცავდა. არაობიექტურად მიწოდებული ისტორიის საფუძველზე, სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ შეიქმნა, მაგალითად, ავტონომიები, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში. ადრეც მითქვამს, რომ სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ცენზურას განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება და სხვა ისეთი მიმართულებები, რომელნიც მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ დარგებად მიიჩნეოდა. ჩვენს ცნობილ მკვლევარებს დიდი ძალისხმევა და თავდადება დასჭირდათ, რათა ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ და დღემდე მოეტანათ ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე. ახლა კი, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია, შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე (აღნიშნულ საკითხზე ბოლო სხდომაზე იმსჯელა წმ. სინოდმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება). ამას ჯერ კიდევ XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში ცდილობდნენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილნი, მაგრამ მათი ნააზრევი მაშინდელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საპირწონედ, ბუნებრივია, ვერ იქცა.**

მაგალითად, გავიხსენოთ წმიდა ილია მართალი, რომელიც ქართველთა ფესვებს უკავშირებს ურარტულ წიაღს, რასაც, ალბათ, ისიც განაპირობებდა, რომ ურარტუელთა სამ მთავარ ღვთაებას შორის უპირველესს „ქალდი“ ერქვა. **„ურარტუელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორცნი“**, — წერს იგი „ქვათა ღაღადში“ და ამ აზრს მისი დროის უცხოელ მეცნიერთა კვლევებითაც ამყარებს. თავის ცნობილ ნაშრომში, — „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, — კათოლიკოს-პატრიარქი კირიონიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ ქართველნი შთამომავალნი არიან ქალდეველთა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს უძველესი მსოფლიო ისტორიისა და კულტურის განვითარებაში. საყურადღებოა, რომ „ქალდი“ დღესაც ჰქვია უძველეს ქართულ კუთხეს ტრაპიზონის მთებში, სადაც ოდითგან ცხოვრობდნენ ლაზები. „ქალდეად“ ლაზურ-ჭანურ სივრცეს მოიაზრებს დიდი მეცნიერი პავლე ინგოროყვაც. ამ ტოპონიმთან დაკავშირებით კი პირველი ინფორმაცია ჩვენს წერილობით წყაროებში ლეონტი მროველთან გვხვდება. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: **„კუალად გამოვიდნენ სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაეშენეს იგინიცა ქართლს“**. სიტყვა „ქალდიდან“ უნდა იყოს ნაწარმოები ჩვენი ერის ეთნონიმი „ქართიც“, რომელსაც, ალბათ, უფრო ინფორმაციის უქონლობის გამო, მეცნიერთა დიდი ჯგუფი მხოლოდ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად მიიჩნევდა. **სინამდვილეში „ქალდი“ საერთო ქართული სამყაროს, კოლხეთის, ცენტრს, მის გულს ერქვა.** გვიანდელ პერიოდში კი, უცხოტომელთა ზეწოლის შედეგად, ამ ცენტრმა ქართული ტომებითვე დასახლებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, იმავე კულტურის წიაღში, გადმოინაცვლა და შეიქმნა ქართლის სამეფო, რომლის სახელწოდებაც, როგორც დიდი ილია ვარაუდობს, სწორედ „ქალდიდან“ მომდინარეობს. **ამდენად, ქალდი — ქართი — ქართლი — ქართველი, ჩვენი ერის ისტორიული გზის, ჩვენი ერთობის გამომხატველი ტერმინებია. საერთოდ, ეს საკითხი შემდგომ კვლევასა და გაღრმავებას საჭიროებს.**

საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ჩვენმა გენმა გაუძლო ათასი ჯურის გარეშე ძალებისა და სხვადასხვა იმპერიის არაერთ მცდელობას, რომ გავეთიშეთ და დავენაწევრებინეთ; ჩვენ შევძელით, საკადრისი პასუხის გაცემა მათს ვერაგულ ქმედებებზე და დღემდე ერთობითა და ერთსულოვნებით მოვაღწიეთ. ჭკვიან მტერსა და უგუნურ მოყვასს დღესაც უნდა ჩვენი გაყოფა, მაგრამ, ღვთის მოწყალებით, ამას ვერ მიაღწევენ. **ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ვიყოთ არა როსტომ ხანის, არამედ ცოტნე დადიანის მემკვიდრენი. ჩვენი ერის ერთიანობის უნიკალურობა ჩვენს საოცარ მრავალფეროვნებაშია.** ყველა კუთხე თავისებურებებით გამოირჩევა: განსხვავებულია მათი სიმღერა, ცეკვა, სამოსი, სამზარეულო, მეტყველება, კილო, მაგრამ ამავე დროს ყოველივე ეს ერთიანი ქართული სულის განუყოფელი ნაწილია. ხასიათიც განსხვა-

# აქვს თანამდებობა და, აქედან პასუხისმგებლობა, მეტი მართებს

ვეზული გვაქვს; ზოგი უფრო ფიცხია, ზოგი დინჯი, ზოგი იუმორით სავსეა, ზოგიც მკაცრი, ზოგი სიტყვაძუნწია, ზოგი სიტყვამრავალი, ზოგი უფრო ალღოიანია, ზოგი კი დამყოლი ბუნებისა და მიამიტი ...; **მაგრამ ამ სხვაობის მიუხედავად, გვახასიათებს მთავარი საერთო თვისებებიც: სიყვარულის ნიჭი, მადლიერების განცდა, გულწრფელობა და სიალალე ... ჩვენს ერს ყოველთვის ჰქონდა მადლიერების გრძნობა ღვთისადმი. ამის დადასტურებაა საუკუნეთა მანძილზე, — განსაკუთრებით კი ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამს, — აშენებული ეკლესია-მონასტრების სიმრავლე.** ეს განცდა მას ათეისტურმა საშინელმა რეჟიმმაც კი ვერ ჩაუკლა. ამიტომაცაა, რომ ახლა, პოსტსაბჭოთა პერიოდში, მიუხედავად სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ხანგრძლივი კრიზისისა, მიუხედავად გარედან თავსმოხვეული შეიარაღებული კონფლიქტებისა, **ხალხის ძალისხმევით ათასობით ეკლესია-მონასტერი აღდგა და აშენდა, ამჟამად კი ღვთის სადიდებლად და სამადლობლად, მრევლის შესაწირით, შეიქმნა უნიკალური ხატი, „საქართველოს იმედი“, რომელზეც ჩვენი ეკლესიის ყველა წმიდანი და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მნათობნი არიან გამოსახულნი, რათა მათი მეოხებით გადავრჩეთ და გადარჩეს ჩვენი ქვეყანა;**

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უფლის წინაშე ვალი მოვიხადეთ და გასაკეთებელი აღარაფერი გვაქვს. ურწმუნოთა 70-წლიანმა ბატონობამ ჩვენს საზოგადოებას ღრმა კვალი დააჩნია, და დაამახინჯა ჩვენი ცხოვრების წესი და აზროვნება; სხვადასხვა სახით ეს დღესაც ვლინდება. მათ შორის მადლიერების განცდასთან მიმართებაშიც. **ღვთისადმი მადლიერების გამოხატვა საჭიროა როგორც მთელი ერისთვის, ისე ცალკეული პიროვნებისთვის, რადგან ასეთი დამოკიდებულება მადლის მოპოვების უმარტივესი და ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა.** სახარებაში ვკითხულობთ, რომ განკურნებული ათი კეთროვანიდან მხოლოდ ერთი, სამარიტელი, დაბრუნდა მაცხოვართან მადლობის სათქმელად და ამიტომაც ღირსი გახდა შემოქმედი ღმერთი შეეცნო და ცხონების გზა ეპოვა, ხოლო დანარჩენმა ცხრა განკურნებულმა კეთროვანმა, რომელნიც აბრაამის შთამომავალნი იყვნენ და „სასუფევლის ძედ“ იწოდებოდნენ, უმადურობით დაკარგა უფალი. წმიდა მამები გვასწავლიან, რომ **საიდუმლო სერობის შემდეგ ღვთის უდიდეს საიდუმლოს ნაზიარებ იუდას გულითადი მადლობა რომ ეთქვა იესო ქრისტესთვის, იმ საშინელ დაცემას თავიდან აიცილებდა.** ამიტომაც, იუდა ღალატთან ერთად, უმადურობის სიმბოლოდაც მიიჩნევა. მადლიერების გრძნობა ღვთისაგან გვაქვს მონიჭებული, — წერენ მამები, — და თვით ადამიანური ბუნება გვიბიძგებს ასეთი დამოკიდებულება გვქონდეს ჩვენთვის მზრუნველთადმი. შინაური ცხოველები და მხეცებიც კი ავლენენ სიყვარულს კეთილისმყოფელთადმი და რაოდენ გვმართებს, ეს განცდა გამოვხატოთ მის მიმართ, რომლისგანაც შეიქმნა ყოველი, რომელმაც მოგვმადლა ქვეყანა „უთვალავი ფერითა“, მოგვანიჭა სიცოცხლე, გონება, თავისუფალი ნება, ჯანმრთელობა, სიყვარულის უნარი, ბედნიერების განცდა, სამყაროს აღქმა, რომელიც გვითენებს ყოველ დღეს, გვაძლევს საკვებს, სითბოს, ჰაერს, წყალს და, რაც ყველაზე მთავარია, თავისი ჯვარცმისა და მსხვერპლშეწირული სიყვარულის ფასად ბოძებული წარუვალი ნეტარი ცხოვრების შესაძლებლობა. განა შეიძლება, რომ ყოველ წამს არ ვგრძნობდეთ მის მზრუნველობას, ვიყოთ ყოველივე ამის მომხმარებელნი და არ გამოვხატავდეთ მისდამი გულწრფელ მადლიერებას?! ვიქცევით კი ასე?

ჩვენდა სამარცხვინოდ, ხშირად მადლიერებას, ასე თუ ისე, ადამიანებისადმი უფრო ვიჩენთ, ვიდრე უფლის მიმართ. **მოჩვენებით მადლიერებას კი, როგორც ყველაფერ ფარისევლურს, აზრი არა აქვს და სისაძაგლეა იგი ღვთისა და კაცის წინაშე.** გავიხსენოთ კაენისა და აბელის მაგალითი. რატომ შეიწირა ღმერთმა აბელის მიერ მირთმეული სამადლობელი ძღვენი, ხოლო კაენისა — არა? იმიტომ, რომ აბელმა თავისი ქონების საუკეთესო ნაწილი გაიღო და ეს უფლისადმი მთელი სიწრფოებითა და მადლიერებით გააკეთა, კაენმა კი — უგულოდ, მოვალეობის მოხდითა და ამპარტავნებით. სწორედ ამიტომ განიძარცვა იგი მადლისაგან და დაეუფლა საშინელი შური ძმის მიმართ, შემდეგ კი იმდენად დაეცა, რომ ყურად აღარ იღო აღარც შემოქმედის გაფრთხილება: **„თუ სიკეთის მქმნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე“** (დაბ.4.7ძ და მკვლელობის უსაშინელესი ცოდვის პირველი ჩამდენი გახდა. ამის მთავარი მიზეზი კი უმადურობა იყო. უმადურობა ამპარტავანთა, ანუ ყველაზე დიდი და საშინელი ცოდვის მქონეთა, ერთ-ერთი თვისებაა; მაშინ, როდესაც გულწრფელი მადლიერება თავმდაბლობის გამოხატულებაა და ასეთ ადამიანებს ახასიათებთ. ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ ყველაფრისთვის, მათ შორის ავადმყოფობისა და სხვადასხვა განსაცდელთათვის, რადგან უფლის განგებულებით აღესრულება ყოველი და იგი აუცილებელია ჩვენი სულიერი აღზრდისა და ცხონებისათვის. **„ვინც უყვარს უფალს, მასვე ზრდის, ხოლო შოლტით სცემს ყველას, ვისაც ძედ იღებს... და თუ შორს ხართ აღზრდისაგან ..., ნაბუშრები ხართ და არა შვილები“** (ებრ.12,6,8ძ, — გვასწავლის პავლე მოციქული. შეჭირვებისა და მწუხარების მადლიერებით დათმენის საუკეთესო მაგალითია კონსტანტინეპოლის პატრიარქი, წმ. იოანე ოქროპირი. იგი იყო მსოფლიო ეკლესიის უთვალსაჩინოესი მოღვაწე, გამორჩეული თეოლოგი, მჭერმეტყველი; მისი ნაშრომები დღესაც სამაგიდო წიგნებია ქრისტიანული რელიგიით დაინტერესებულთათვის. წმ. იოანე ოქროპირი როგორც საზოგადოებაში, ისე სამეფო კარზე უდიდესი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ შურითა და ცილისწამებით სავსე ადამიანებმა იმდენი შეძლეს, რომ იმპერატორის ბრძანებით პატრიარქობიდან გადააყენეს და უსამართლოდ დევნილი და შეურაცხყოფილი გადასახლებაში გაგზავნეს ჯერ სომხეთში, შემდეგ კი — საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, სოფ. კომანში, სადაც აღესრულა კიდეც. ასეთი დამცირების მიუხედავად, იგი სიცოცხლის ბოლომდე ქრისტეს ერთგულ მხედრად დარჩა და მაცხოვრისა და მოყვასის სიყვარული არასოდეს დაშრეტია; პირიქით, აქედან ანუგეშებდა ბიზანტიაში დარჩენილ თავის სამწყსოს და მოუწოდებდა, ნებისმიერ სიტუაციაში მადლიერნი ყოფილიყვნენ უფლისა. სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: **„მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის“**, რაც, ფაქტობრივად, პავლე მოციქულის ნათქვამის გამეორებაა: **„მადლიერნი იყავით ყველაფრისთვის, რადგან ასეთია თქვენდამი ნება ღმრთისა ქრისტე იესოში“**. (I თესალ.U5.18ძ ასეთი დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მძიმე მდგომარეობას უნდა შევეგუოთ და ხვედრს დავმორჩილდეთ, ანუ ბედისწერის შესახებ არასწორი სწავლება გავიზიაროთ. არა, მუდამ საჭიროა ლოცვა და სწორი ქმედება, როგორც ბრძანებს უფალი ჩვენი იესო ქრისტე: **„ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ“** (მათე 7.7ძ ოღონდ, ამას არ უნდა ახლდეს დრტვინვა და მრისხანება, არამედ შემოქმედისადმი ყოველივე მადლიერებით უნდა აღესრულებოდეს და თუ ჩვენი სურვილი იმ ეტაპზე ჩვენი სულისთვის სასარგებლოა, მაცხოვარი აუცილებლად შეისმენს მას. გავიხსენოთ მართალი იობი, როგორი სიმშვიდით, მოთმინებითა და მადლიერებით მიიღო მან თავსდატეხილი დიდი განსაცდელი; სანაცვლოდ კი უფალმა ამქვეყნადვე მრავალწილად დაუბრუნა ქონებაც, დიდებაცა და პატივიც.

სამწუხაროდ, ათეისტური აზროვნების გავლენითაა, რომ განსაცდელის დათმენა და მადლიერებით მიღება თანამედროვე საზოგადოების დიდი ნაწილისათვის სრულიად გაუგებარია, რადგან ისინი ასეთი დამოკიდებულების კეთილ შედეგს მიწიერ ყოფაში ვერ ხედავენ და, ამასთან, არ სჯერათ, რომ გარდაცვალების შემდეგ მარადიული სიცოცხლე იწყება. ამიტომაც ესწრაფვიან დიდებასა და კეთილდღეობას ამქვეყნად. ურწმუნო ადამიანი როდესაც სიკეთეს აკეთებს, ფიქრობს, რომ მხოლოდ იგია მადლიერების ღირსი და მას ეკუთვნის სათანადო დაფასება. იგი ვერ აცნობიერებს, რომ ასეთი ქველმოქმედება პირადად მისთვის ახალი დიდი ცოდვის მიზეზი ხდება, რადგან ქება ამპარტავნებას უძლიერებს და მის სულს კიდევ უფრო აზიანებს. ხოლო, როდესაც მორწმუნე აღასრულებს სიკეთეს, ამას უფლის სახელით იქმს და ამასთან, მადლობს შემოქმედს, რომ საშუალება მისცა სხვისთვის სიხარულის მინიჭებისა; ხარობს გაცემით, თუმცა თავს აღსრულებული ქველმოქმედების მხოლოდ გამტარად, საშუალებად აღიქვამს, ამიტომაც ჩრდილში ყოფნას ირჩევს და მადლობას და დიდებას უთმობს ღმერთს. უფლისა მადლიერებას ყოველდღიური ლოცვებიც გვასწავლის, ხოლო ვინც ჯერ კიდევ ეკლესიურად არ ცხოვრობს და ეს ლოცვები არ იცის აუცილებელია, გულში მაინც თქვას მადლობა თუნდაც საჭმლის მიღების შემდეგ; ასეთი მცირედი წრფელი ქმედებაც კი მადლს მოაპოვებინებს და ცხონების გზას აპოვნინებს მას. ამ თემაზე განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ მადლიერება უმთავრესი ქრისტიანული სათნოებათაგანია და მასთან დაკავშირებით ჩვენი დამახინჯებული დამოკიდებულებები, აუცილებლად, უნდა გამოვასწოროთ. მაშინ, როდესაც მოიწევა აღსასრული, **„წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა“** (Iკორ.13.8ძ, როდესაც რწმენაც განხორციელდება და აღსრულდება სასოებაც, ადამიანის სულს სასუფეველში მხოლოდ სიყვარულის გრძნობა და მადლიერების განცდა გაჰყვება. იგი ჭეშმარიტი სიყვარულის თანმდევია ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და მასთან ერთად ზეიმობს მარადიულ ნეტარებაში. წმ. ამბროსი ოპტინელი წმ. პავლე მოციქულის დარიგების გათვალისწინებით, გამოყოფს ოთხ უმთავრეს სათნოებას და გვასწავლის:

**1) იყავით მრავლის დამთმენნი;**

**2) მარადის ხარობდეთ; 3) მუდამ ილოცეთ;**

**4) მადლიერნი იყავით ყოველთვის;**

**და ამასთან აღნიშნავს, რომ ამ სათნოებათა მოპოვება ბოლოდან ანუ მადლიერებით უნდა დავიწყოთ, რათა მადლი შევიძინოთ. მადლი არ იყიდება და არც სხვა საშუალებით გადაეცემა. ნებისმიერმა ჩვენგანმა თვითონ უნდა იღვაწოს, იმდენი მადლი მოიპოვოს, რომ ცხონდეს. ამისთვის კი თავმდაბლობა უპირველესი პირობაა. უფალი ბრძანებს: „ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მოანიჭებს მადლს“** (I პეტრე 5.5ძ.

**ამასთან, ადამიანს რაც უფრო მაღალი აქვს თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა, მადლმოსილებაც მეტი მართებს.** მადლმოსილ პიროვნებათა სიმრავლე ქმნის ერის კეთილდღეობას, მადლის სიმცირე კი ხშირად განაპირობებს მის განსაცდელში ყოფნას. ჩვენი პრობლემების უმეტესობაც მადლის ნაკლებობიდან მომდინარეობს. მართალია, უღმერთობის ხანა დასრულდა და ხალხი ეკლესიური გახდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილის სარწმუნოება მაინც ნელ-თბილია, რადგან ყველაფერს გარეგნულად უგულოდ აკეთებენ. **ქრისტეს სახელი მხოლოდ გონებასა და ბაგეებზეა, გულში კი ისევ „ძველი კაცი“ სახლობს. ისინი, მართალია, ამბობენ აღსარებას და ასრულებენ საეკლესიო წესებს, მაგრამ, ამავე დროს, მათთვის უცხო არ არის განკითხვა, ცილისწამება, ამპარტავნება, სიცრუე, ეჭვი, უსიყვარულობა, გულგრილობა, სიზარმაცე, შური, მრისხანება...;** დაცემა და ადამიანური სისუსტენი ყველას აქვს, მაგრამ „მორწმუნეთა“ ამ ნაწილისათვის ორმაგი სტანდარტებით ცხოვრება მისაღები გახდა და შეეჩვივნენ ამ მდგომარეობას. ღმერთისთვის კი ასეთნი მიუღებელნი არიან და, ბუნებრივია, არც მათი სათხოვარი შეისმინება. წმიდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ვკითხულობთ: „ვიცი საქმენი შენნი; არც ცივი ხარ და არც ცხელი; ოჰ, ნეტავ ცივი მაინც იყო, ან ცხელი. მაგრამ რაკი ასე ნელთბილი ხარ... ამიტომ ამოგანთხევ პირისაგან ჩემისა“ (3. 15-16ძ.

ღმერთმა ნუ ქნას ამ მდგომარეობაში დაამთავროს ვინმემ სიცოცხლე. მაშ, მოვიკრიბოთ შინაგანი ძალა, ვისწავლოთ სწორი დამოკიდებულება ღვთისადმი და მოყვასისადმი; დავიწყოთ ყველაზე მარტივით, მადლიერებით. ელემენტარულ სიკეთეზეც კი გულწრფელი მადლიერება გამოვთქვათ, ხოლო კაცთა შორის განსაკუთრებული მადლობა გვმართებს მშობლებისადმი, „რათა კეთილი გვეყოს და დღეგრძელ ვიყოთ ქვეყანასა ზედა“. ასევე უნდა მოვიქცეთ ხანდაზმულთა და გარდაცვლილ წინაპართა მიმართ. **განვაგდოთ ჩვენგან „ძველი კაცი“, გულის კარი გავუღოთ მაცხოვარს; და იგი ჩვენში აუცილებლად დაივანებს. ხოლო როდესაც ეს აღსრულდება დავინახავთ, რომ ჩვენს შინაგან სამყაროში ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვლება და უფალიც მოგვაგებს თხოვნისამებრ.**

საყვარელნო შვილნო, უდიდესი კრძალვით, სიყვარულითა და მადლიერებით განვუფინოთ ჩვენი სული, გული და გონება ბეთლემის ბაგასა შინა მწოლ ყრმას, ჩვენს უდიდეს მარადიულ ნუგეშსა და იმედს და შევვლაღადოთ უფლის წინაშე ჩვენს საოცარ მეოხსა და მფარველს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს: **„მოწყალებისა კარი განგვიღე კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა, ამინ“!**

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო და ბერძენნო, რუსნო და უკრაინელნო, აზერბაიჯანელნო და სომეხნო, ასირიელნო და უდინნო..., საქართველოს მკვიდრნო ყველა სხვა ერის წარმომადგენელნო, მართლმორწმუნენო, **„მოიპოვეთ შეუძვრელი სასუფეველი და იქონიეთ მადლი და „მოადექით თქვენ სიონის მთას და ქალაქს ცოცხალი ღმერთისას, ზეციურ იერუსალიმს და ანგელოზთა უხილავ სიმრავლეს. მოზეიმე საკრებულოს და ცაში ჩაწერილ პირმშოთა ეკლესიას და ახალი აღთქმის შუამდგომელს იესოს“** (ებრ.12. 28, 22-23ძ **და გიხაროდეთ, რამეთუ დღეს იშვა ქრისტე!**



სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

**ილია II,**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

შობა ქრისტესი, თბილისი, 2012 წელი

# რაკი პარლამენტი მომენტალურად მოძველდა!...

## გაუმარჯოს ახალ უზენაეს კანონმდებელს – „საქართველოს მაცნეს!“



არსებობენ ქვეყნები და არსებობენ ტერიტორიები.

ქვეყნებიდან ზოგი სამეფოა (მაგალითად, დანია და შვედეთი, რაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ არ იცის!), ზოგი – საპრეზიდენტო რესპუბლიკა (მაგალითად, საფრანგეთი და არგენტინა, მაგრამ არა – ნორვეგია ან მალაიზია, რაც არ იცის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველმა თემურ ალასანიამ!), ზოგი საპარლამენტო რესპუბლიკაა (მაგალითად, კანადა, ინდოეთი, ავსტრალია...), ხოლო ზოგი – ბანანის რესპუბლიკა... თანაც, ისევე, როგორც ზოგ საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი რეალურად აღმასრულებელ ძალაუფლებას არ ფლობს, ასევე ზოგიერთ ბანანის რესპუბლიკაში ბანანი არ ხარობს...

საქართველო ბოლო 20 წელია, ისევ დამოუკიდებელია.

თავიდანვე ჩაითვალა, რომ საქართველო, როგორც ინდივიდუალისტების ქვეყანა, განწირული იყო საპრეზიდენტო მმართველობისათვის... და მის მერე მართლაც განწირულები ვართ... ვერც ერთმა პრეზიდენტმა ვერ მიიყვანა ბოლომდე თავისი საპრეზიდენტო ვადა, ვერც ერთმა ვერ მოახერხა თავდაპირველი არანახული მხარდაჭერის შენარჩუნება. სამივეს შემთხვევაში აშკარა იყო თავიანთი დაპირებებიდან დისტანცირება და დემოკრატიული მმართველობის ლოზუნგს უკან პრივილეგირებული კლანებისა და არაკვალიფიციური კადრების კორუმპირებული და არაეფექტიანი ძალის ჩამოყალიბება, რაც საბოლოო ჯამში ხდებოდა კიდეც პრეზიდენტების დამარცხების მთავარი მიზეზი. თუმცა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო საგარეო ფაქტორი – გამსახურდიას შემთხვევაში რუსეთის მხრიდან მხარდაჭერილი სახედრო გადატრიალების, ხოლო შევარდნაძის შემთხვევაში – რბილი გადატრიალების ამერიკული ტრენინგების სახით... სააკაშვილმა ყველაზე მეტს მიაღწია, ყველაზე ბევრი მოინდომა, ყველაზე მეტი დაკარგა, მაინც ყველაზე დიდხანს გაძლო და არაა გამორიცხული – ყველაზე სისხლიანად წავიდეს...

მაგრამ სააკაშვილის მმართველობაში მოხდა ის, რაც არასოდეს მანამდე ასე აშკარა არ ყოფილა – ქვეყნის პოლიტიკურმა სისტემამ მეტ-ნაკლებად უცვლელი ფორმის მუდმივი ცვლილებები დაიწყო, პარლამენტის უფლებები მუდმივად იკუმშებოდა, ხოლო პრეზიდენტისა – იზრდებოდა. ამის პარალელურად დაიწყო სასამართლოში ძალაუფლების გადასვლა პროკურატურის ხელში და ადვოკატურის, როგორც სასამართლოს კომპონენტის სრული იგნორირება. საბოლოო ჯამში უზენაესი სასამართლო რეალურად იქცა უცხოელ ექსპერტებთან თავის მოსაწონებელ ფიტულად, რომლისადმი ნდობა თურმე იმის პარალელურად იზრდება, როგორც იზრდება სასჯელის წარმოუდგენელი სიმკაცრე და მცირდება გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეს გამოკითხვები ტარდება სწორედ სასამართლოების შენობებში, და ხშირად სწორედ იმ საცოდავი ხალხის დათრგუნული ახლობლები გამოხატავენ აღფრთოვანებას და მზარდ ნდობას სასამართლოსადმი, სადაც პროკურორი კარნახობს მოსამართლეს განაჩენს.

თავიდან დაიწყო სამინისტროების შემცირება და ამ პროცესს დეცენტრალიზაცია დაარქვეს. მერე კი მოხდა სამინისტროების თითქოს შემცირებული კადრების ისევ ზრდა და, რაც მთავარია, ბიუჯეტის სერიოზული ზრდა. რაიონებში გაუქმდა ადგილობრივი თვითმმართველობა და გაძლიერდა პრეზიდენტის რწმუნებულების ინსტიტუტი, თან რეგიონების და რაიონების ბიუჯეტიდან სერიოზული თანხების დახარჯვა დაიწყო საკამათო ღირებულების ხელოვნების ძვირადღირებულ ნიმუშებში, ისევე როგორც იმ კონცერტებში, სადაც ცენტრალური ხელისუფლების ცენტრალური გვამები და მათი თანამეცხედრეები უფასო ბილეთებს და მოსაწვევებს ღებულობდნენ ხოლმე.

ქვეყანა თავს იწონებს დემოკრატიით და ყველაზე მეტი, რაც აშენდა, – პოლიციის შენობებია! 93 პოლიციის გამჭვირვალე შენობა – 3 წელიწადში. მართალია, წელს 40-მდე საავადმყოფოც უნდა აშენდეს, მაგრამ არც ერთი მათგანი სახელმწიფოს ფულით არ აშენებულა – სახელმწიფომ ეს შენობები სადაზღვევო კომპანიებს აჩუქა და მერე მათი განახლება ან თავიდან აშენება შეაჩერა. აი, პოლიციის შენობებს კი სახელმწიფო აშენებს – როგორც დემოკრატიის მახასიათებელ მთავარ გამჭვირვალე ელემენტებს.

უცებ, საქართველოს სახელმწიფო წმინდა საპრეზიდენტო ე.წ. ფრანგულ-ამერიკული მოდელიდან საპარლამენტო-საპრეზიდენტო, ანუ გერმანულ მოდელზე გადადის. პრეზიდენტი ძირითადად წარმომადგენლობითი უფლებებით შეიმოსება, ხოლო პრაქტიკულად მთელ აღმასრულებელ ხელისუფლებას პრემიერ-მინისტრს გადააბარებს. ამ მოდელის დაფასებული ავტორის აზრით, ეს ევროპული ტიპის დე ფაქტო საპარლამენტო რესპუბლიკა იქნება, მაგრამ იმ იურისტებს და კონსტიტუციონალისტებს, ვისაც წლების განმავლობაში მართლაც რომ საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე უმუშავიათ, ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს მოდელი პარლამენტის უფლებებს კიდევ უფრო დაასუსტებს, ხოლო პრემიერ-მინისტრი კი იმაზე მეტი უფლებებით იქნება აღჭურვილი, რაც აქამდე პრეზიდენტს ჰქონდა. თანაც (SIC!) პრეზიდენტისაგან განსხვავებით პრემიერ-მინისტრი არც 2 ვადით იქნება ლიმიტირებული, არც 3-ით და არც 4-ით! მთავარია, მოახერხოს გაყალბების კოდექსის ისე დახვეწა და მედიის, ადმინისტრაციული რესურსის, პოლიციის და სასამართლოების ისეთი კოორდინირებული, შეხმატკბილებული მუშაობა, რომ გაყალბება კარგად შეინიღბოს და!.. მოკლედ, ბევრი ვიარეთ ევროკავშირისკენ და მივადექით... სინგაპურს!

პარლამენტი რომ უმაქნისი ბუტაფორია ხდება, ეს იქედანაც ცხადია, რომ პარლამენტი ქუთაისში გადადის, ხოლო მთავრობა თბილისში იმუშავებს. იდეაში პარლამენტი მთავრობას უნდა აკონტროლებდეს, მაგრამ ეს ხომ ახლა წარმოუდგენლად ძვირი დაჯდება! ხოლო ჩვენს მთავრობას ისე უყვარს ეკონომია (თუ ეს კონცერტებს და შადრევნებს არ ეხება...). ვიღაც დათვლის, რა ჯდება ეს ქალაქთაშორის გადაადგილებები და სამთავრობო მოსმენების უფლებამოსილებას ჯერ ოპოზიციურ ფრაქციებს შეუზღუდავენ, მინისტრების გამოძახება ძვირი ჯდებაო... მერე ალბათ მინისტრების რეგულარული საპარლამენტო ანგარიშებიც სულ უფრო იშვიათად ჩატარდება... რომელიმე ნიჭიერი კანონშემოქმედი – მარად მზადმყოფი ლაშა თორდია ან დახვეწილი გია თორთლაძე – შემოიტანს საკანონმდებლო ინიციატივას, რომ მოხდეს კითხვა-პასუხის წერილობით გაცვლა ინტერნეტით ჩეტის რეჟიმში... და საერთოდ, რატომ უნდა მოცდეს მინისტრი, რომელიც პოლიტიკური ფიგურაა, დეპუტატების კითხვებზე პასუხის გასაცემად? ვინ გაიგებს, თუ ინტერაქტივში სამინისტროს მხარეს კომპიუტერთან რომელიმე რეფერენტი გაგა ან კონსულტანტი რუსკა იჯდება, ხოლო მისი პასუხების წინ დაეწერება „მინისტრი“?! და მერე და მერე ქუთაისის მხარესაც ხომ შეიძლება დაიხვეწოს ტექნიკა და მთელი ფრაქციის ნაცვლად ერთი რომელიმე ელდარი ან კობა აჭერდეს ხელს ერთდროულად 5 პულტს?!. და 30-ს რომ აჭერდეს?.. ან სულაც 150-ს?!! ხოლო ამ დროს ის დანარჩენი 149 ნეტარი ან მესტიაში ისრიალებს თხილამურებით, ან ლაზიკაში დაკავდება „დაივინგით“! პროგრესი ნეტარების სამსახურში! Cost-efficiency by Misha!

წარმოიდგინეთ, რა ფანტასტიური ცხოვრება იქნება! (ხელისუფლებისთვის! მაგრამ ჩვენი ქვეყანა ხომ ხელისუფლებისათვის არსებობს და არა ხალხისათვის!) – ნაცმოძრაობის მთავრობა თავისთვის ისვენებს თბილისში... ან კიდე უკეთესი – ვენაში, პარიზში, ბოდრუმში, ლონდონში, ბანგკოკში... ნაცმოძრაობის პარლამენტი თავისთვის ისვენებს წყალტუბოში, ლაზიკაში, ანაკლიაში... ან – ბოდრუმში, პარიზში, ვენაში...

უზენაესი სასამართლო არ არსებობს... ანუ ვითომ არსებობს, სინამდვილეში კი იქ არავის არ უშვებენ და შიგნით რესტორანია გახსნილი ან – სპა-ცენტრი საუნით და სტრიპ-ბარით! კონტროლის პალატა ოპოზიციის ანგარიშებს ამოწმებს... ეროვნული ბანკი ოპოზიციური პირების ბანკებშია ჩამჯდარი უკუნითი-უკუნისამდე და იქვე აყაჩაღებს, რათა საინკასაციო მანქანაზე შტურმი არ დასჭირდეს... იუსტიციის სამინისტრო ამოწმებს ეროვნული ბანკიდან მიღებულ ოპერატიულ ინფორმაციას იმაზე, რომელ ბიზნეს ფირმას გაეზარდა ცურები მოსაწველად და მერე გადასცემს ოპერატიულ ინფორმაციას შსს-ს, რომელიც ოპერატიულად იღებს გადაწყვეტილებას, რა მეთოდი გამოიყენონ – ნარკოტიკის ჩადება, იარაღის ჩადება, დირექტორის შვილის დაკავება, თუ უბრალოდ – ყავაზე დაპატიჟება და ტკბილი საუბარი... მედია კი მუშაობს შეუსვენებლივ, რომ სეთურის იმედი გააკეთოს და ტერორი დათესოს – თუმცა აქაც მოხდა ოპტიმიზაცია – გველეშაპის სამივე თავმა ჩინეთში და კორეაში გაუშვა კორესპონდენტები და იქ იღებენ მშენებლობებსა და ფერმებს, სტადიონებსა და აკვარიუმებს, ბანკებს და „გონკებს“, რომელთაც მერე გვიჩვენებენ, როგორც რეპორტაჟებს ზუგდიდიდან და ოზურგეთიდან, ნორიოდან და გონიოდან, ჰერეთიდან და იმერეთიდან“... მონტაჟი და მისი ჯანი! – აქა-იქ ლაშა და ნოდარიკო, შიგადაშიგ პაიჭაძის ბიჭის ჰობიექტური „ნდიალოგები“, საღამოს – ტატიშვილ-ანდღულაძის დახვეწილი ჰუმორი, ტომნი მაია და არტილერისტი ნანუკა... და ეგაა – ჭირი – იქა, ლხინი – აქა, ქატო – იქა, ფქვილი – აქა...

და ეს ყველაფერი უკვე დაწყებულია... ბათუმი, რომელიც ბარსელონაა და ანაკლია, რომელსაც არაფერი არაკლია ნიცამდე... ლაზიკა, რომელმაც უკვე სოჭის ოლიმპიადა ჩაშალა და მესტია, სადაც უშბას გამოღრუტნიან და შიგნიდან ჰალოგენებს დაუყენებენ!.. გიგანტი ველოსიპედები გმირი მეფის ადგილზე და №1 გარეკილი – გმირი მეფის ხატებად...

თქვენ გგონიათ, ეს ირონიაა? ან ფანტაზიაა? მეც ეგრე ვიფიქრებდი, რომ არა ერთი სერიოზული კაცი, რომელიც არასოდეს ხუმრობს... მერაბიშვილზე იფიქრეთ? ნურას უკაცრავად, ვანო ხომ თურმე იუმორის მიხედვით არჩევს კადრებს კუდსა და სოდში... არა, ზურა ადეიშვილზე ვამბობ, რომელიც №2 იდუმალი პერსონა იყო საქართველოში და ა.წ. 7 ოქტომბრიდან – ერთპიროვნული ლიდერია მაგ ნომინაციაში... ჰოდა, ბატონმა ზურაბმა, რომელიც აქამდე იმით იყო ცნობილი, რომ საქართველოს ბიუჯეტში მისი ფირმა ყველაზე დიდი შემომტანია – 112 მილიონი ერთ წელიწადში – ხუმრობა ხომ არაა – აი, Processual Agreement INC.-ის შენატანი ხაზინაში 2010 წელს ალბათ მოხსნიდა რეკორდს... ჰოდა, ბატონმა ზურაბ ადეიშვილმა 2011 წლის ყველაზე ფენომენალურ დღეს – 29 დეკემბერს (რა არ მოხდა იმ დღეს და რა არ გადაიტანა საქართველოს ბანანის რესპუბლიკამ!) პრაქტიკულად დაიწყო პროექტის „საქართველოს მენეჯმენტის ოპტიმიზაციის“ განხორციელება.

აქამდე საქართველოს უმაღლესი საკანონდებლო ორგანო პარლამენტი იყო... აქ ყველაფერი გამაზულია – არის უმრავლესობა, არის მართული ოპოზიცია, რომელიც ხანდახან ბევრს ბრახუნობს, მაგრამ საჭირო მომენტში საჭიროდ ჩუმდება (მაგალითად, როცა პრეზიდენტი ეკითხება – აბა ვინ არის კორუმპირებულიო?), არის სპიკერი, რომელიც მომავალში სათამაშო, მაგრამ ზრდასრულ პრეზიდენტად მოიაზრება და ფეისბუქზე შარაფისმოყვარული ფანებიც ჰყავს... არის 3 დეპუტატი, რომელიც ყველა საკანონდებლო ინიციატივის ოფიციანტები არიან... არის ერთი ჩიორა, ორი ხათუნა, ერთი პადოში და ერთი მეფურნე. არის მთავრობის საპარლამენტო მდივანიც, რომელიც ისეთ წარმატებებზე ლაპარაკობს, რომ გერმანიის მთავრობის მდივანი გეგონება, მაგრამ ნაცმოძრაობის ტრადიციული სენი – სიტყვა „გამჭვირვალე“ ყიდის (ისევე, როგორ ინტელექტუალ სპიკერს)... მოკლედ, კონვეიერი მუშაობს... წელიწადში 450-ზე მეტი კანონი დაშტამპეს, ამასთან ერთი კანონი 2-ჯერ მიიღეს, მაგრამ რას იზამ, ხდება... „შტამპოვკის“ დროს ხდება ხოლმე... გაეპარათ....

ამას წინათ კიდევ ერთი უმოკლესი სიტყვა – „ამ“ გაეპარათ და ისეთი ხმაური ატყდა, რომ კორპორაცია Processual Agreement INC-ის გენერალურმა მენეჯერმა და შეთავსებით იუსტიციის მინისტრმა ჩარევა გადაწყვიტა...

ყველაფერი გენიალური მარტივია!

იმისთვის, რომ გაპარვა არ მოხდეს, საჭიროა რედაქტორი! ან კორექტორი მაინც! თუ მუშაობით გადაძაბულ იურისტებსა და არაიურისტებს რაიმე ისეთი ეპარებათ, რომ ამერიკის საელჩო დასვენების დღიდან საგანგებო მუშაობის რეჟიმში გადადის, ესე იგი კორექტორი მარკშეიდერივით აუცილებელი ხდება და ბატონმა ზურაბმა მარტივად გენიალური გადაწყვეტილება მიიღო:

ამიერიდან საპარლამენტო პროდუქციის ტექსტებზე პასუხს პარლამენტი და მისი ხაბაზები კი არ აგებენ, არამედ სპეციალური ჟურნალ-ორგანოს სპეციალისტი-კორექტორი, რომელიც სადაც საჭიროა, ამოშლის, სადაც საჭიროა, ჩაამატებს, პუნქტუაციას მიხედავს (მაგალითად, წინადადებაში „казнить нельзя помиловать“, სადაც აშკარაა, რომ ვიღაცას მძიმე გამორჩა, დაამატებს ამ მძიმეს და ყველაფერს გასაგებს გახდის); სიტყვებს გადაალაგებს, ისე, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვალოს და ა.შ... მოკლედ, სუფთა ტექნიკური სამუშაოა, რაზეც 450 კანონის მიმღები მაღალი რანგის პროფესიონალები არ უნდა მოცდნენ!!! მით უმეტეს მაშინ, როცა ქუთაისში იქნებიან ნეტარები!

წარმომიდგენია, იმ „ამ“-ის ამოშლის მერე რა მოხდებოდა ისეთ ქვეყნებში, როგორც იაპონია ან გერმანიაა – კრიზისი დაიწყებოდა!

ხოლო ჩვენს საათივით აწყობილ „გამჭვირვალე“ და პარლამენტ (სასამართლო)-მედია-სტაბილურ სისტემაში კი ერთი შეფერხებაც არ მომხდარა! გამოვიდა აკო – საელჩოს უთხრა, თქვენ ხომ არაფერი მიგირტყიათო? აკოს გვერდით დაუდგა პალიკო, რითაც მირტყმის ვერსია არნახულად გამყარდა... ელექტრონულ ვერსიაში ელექტრონულად ჩასწორდა ის, რამაც აკო-პალიკოს „ფაქტი“ უკვე ალიბად აქცია და ბოლოს, ვინმეს რომ არ ეკითხა, რა „საკანონმდებლო მაცნე“, რის „საკანონმდებლო მაცნე“? – კონსტიტუციის მიხედვით ხომ ეს ყველაფერი პარლამენტის ხელახალ სხდომაზე უნდა გასწორებულიყოო? – გამოიცა იუსტიციის მინისტრის ბრძანება, რომელმაც კონსტიტუციის დეფექტი მყისიერად აღმოფხვრა და „საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქტორს მიანიჭა ჭრის და კერვის იგივე უფლებები, რისთვისაც პარლამენტარები მანქანას, მდივანს, ოთახს, პენსიას, ბილეთებს, ბენზინს, ლაი-ლაი ბარათებს და შეუზღუდავი ლაილაისა და უკონტროლო ლაყაფის კეისრისგან ბოძებულ უფლებებს იღებენ (კრედიტებსა და იგლესიასის ბილეთებზე რომ არაფერი ვთქვათ).

ახლა ერთი სულ ციცქნა ნიუანსი არის მოსაგვარებელი და ამერიკის საელჩოს თუ ბოდიში არ მოახდევინოს სიღრმაგარმა აკო მინაშვილმა, აგერ ნახეთ!

„საქართველოს მთავარ პიჯაკში... რომელსაც ადრე „საქართველოს კონსტიტუციას“ უწოდებდნენ, და რომელიც სააკაშვილის მთავრობამ მგონი უკვე 50-ჯერ გადააკეთა, წერია, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო არის საქართველოს პარლამენტი, და სწორედ მას აქვს კანონების მიღების უფლება. და კანონში რაიმეს ჩამატება, ამოშლა, პუნქტუაციის ცვლილებები, ნუმერაციის შეცვლა და მით უფრო ისეთი ჭრა-კერვა, რომელიც კანონის აზრს და მნიშვნელობას ცვლის (და თუნდაც რომ არ ცვლიდეს, აოიიიიე!) არის მხოლოდ საქართველოს პარლამენტის უფლება! ხოლო „საკანონმდებლო მაცნე“ არის ჟურნალი, სადაც ეს ყველაფერი ქვეყნდება...

Damned!..

მაგრამ რადგან ახლა ბატონი ზურაბის ამ მარტივი გენიალური ჩასწორებით კონსტიტუცია უკვე მომენტალურად მოძველდა, საჭიროა რამდენიმე ანალოგიურად მარტივი ცვლილებები მთავარ პიჯაკშიც:

1. აღიარებულ იქნას, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო ორგანო არის ჟურნალი „საკანონმდებლო მაცნე“, ხოლო უზენაესი საკანონმდებლო პირი – „საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქტორი. მის შემდეგ მოდიან – რედაქტორის მოადგილე, კორექტორი, კომპიუტერული პროგრამირების სპეციალისტი და ბუღალტერი.

2. განისაზღვროს, რომ უმაღლესი „საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქტორის, რედაქტორის მოადგილის, კორექტორის, კომპიუტერული პროგრამირების სპეციალისტის და ბუღალტრის საერთო-სახალხო არჩევნები ტარდება 4 წელიწადში ერთხელ.

3.მმართველი პარტია – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა... – ასახელებს თავის პარტიულ ყრილობაზე 4 უმაღლესი საკანონმდებლო პირის კანდიდატურას, ხოლო ოპოზიცია – ბუღალტრის კანდიდატურებს, რომელთაც 2013 წლამდე ირჩევს და ამტკიცებს პრეზიდენტი, ხოლო შემდეგ – პრემიერ-მინისტრი. სწორედ ამ პირების მიმართ არის ანგარიშვალდებული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. ბუღალტერზე კი მეთვალყურეობას ახორციელებს „ოპოზიციის კონტროლის სახელმწიფო პალატა“.

4. საქართველოს პარლამენტი წარმოადგენს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ტექნიკურ ბიუროს და მას ევალება ჟურნალ „საკანონმდებლო მაცნეს“ დროულად მიაწოდოს განხილული კანონპროექტები და შეთანხმებული ვერსიები, რომელთა ტექსტის რედაქტირებას და დამტკიცებას საკუთარი დისკრეციის ფარგლებში განუხრელად ახორციელებს ჟურნალი „საკანონმდებლო მაცნე“.

გაუმარჯოს საქართველოს გაბრწყინებული რესპუბლიკის მაღალ, ისე-რა და ერცახე ცერეცოებს!

**სოლომონ თერნალი,**

Presage.tv

## სულის ტკივილი

**ამ იმერული კილოკავის, ზუსტი, რომ იტყვიან, ერთმნიშვნელოვანი განმარტება ალბათ არ არსებობს. ის კი კარგად მახსოვს, რომ ცხონებული ბებიაჩემი ხშირად გვეძახდა ამ სიტყვას შვილიშვილებს, როდესაც უაზრო სიცილ-ხარხარით შევაწუხებდით, ან მავანზე დანანებით იტყოდა ხოლმე – რავა სულ ვიხარამაცის ხასიათზეა, იმიტომაც მისდის საქმე კარგად მაგ უბედურსო და ა.შ.**

**ერთი სიტყვით, დღეს რომ ბებიაჩემი ცოცხალი იყოს, იმას, რასაც უაზრო ტაშფანდურას ვეძახით და ბოლო 8 წელიწადია მიშნაცების შესრულებით ვუყურებთ, ამ ერთი სიტყვით – ვიხარამაცით შეაფასებდა ყოველივეს.**

# ვიხარამაცი

## ანუ მე რისი თუ ვისი მრცხვენია?!

არა, განა საახალწლო ზეიმების წინააღმდეგია ვინმე, მაგრამ ზეიმიც არის და ზეიმიც – თვით მაძღარ-დავარცხნილი ევროპის დედაქალაქების მუნიციპალიტეტებმაც კი, საითაც ვითომდაც მივდივართ, უარი თქვეს გადაჭარბებული ფეიერვერკების და შედლუხების ბათქა-ბუთქის დაფინანსებაზე, რადგან ის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, მართალია, მინავლებულია, მაგრამ ჯერაც საგრძნობია მისი დამანგრეველი შედეგები.

სპეციალურად ვუყურე ამ მიმართებით „ჩასაფრებულმა" ევრონიუსს, საიდანაც გავიგე, რომ მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი ფეიერვერკი, ბრაზილიაში 16 წუთს გაგრძელებულა. და რადგანაც ევრონიუსის ჩამონათვალში საქართველო ვერ მოხვდა, ვიფიქრე წელს მაინც მოსულან გონს ნაცები-მეთქი, მაგრამ სულ მალე მიშავიზიებმა გვამცნეს, რომ ჩვენს, გადასახადების გადამხდელთა ფულებს, 32 წუთის განმავლობაში წვავდნენ ბათუმის ღამის ზეცაში. ალარაფერს ვამბობ სხვა, თითქმის უკლებლივ ყველა რაიონულ ცენტრზე, სადაც „უფასო კონცერტებთან" ერთად, არც ფეიერვერკები დაუკლიათ.

კონცერტები ვახსენე და უნდა ითქვას, რომ გასულ წლებთან შედარებით, როდესაც მხოლოდ ორი საახალწლო „უფასო კონცერტი" ტარდებოდა თბილისსა და ბათუმში, წელს განსაკუთრებულად „მოიქაჩლეს თავი" ნაცებმა და თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში გაიმართა ღია ცის ქვეშ ესტრადები. თუმცა, რა თქმა უნდა საშემსრულებლო დონით ყველგან ერთნაირად ვერ დაიკვეხნიან, რადგანაც პარალელურ რეჟიმში 10-12 მაღალი დონის კონცერტის ჩატარებას საქართველოს რესურსები ნამდვილად ვერ „გაქაჩავდა".

თბილისში საახალწლო **ვიხარამაცი** „განახლებულ" პლეხანოვზე, მარჯანიშვილის მოედანზე გამართულა. დიახ გამართულა-მეთქი ვამბობ, რადგანაც იქ არ ვყოფილვარ და ვერც ვიქნებოდი იმიტომ, რომ ჯერჯერობით ვერ შეძლეს ჩემი და ჩემნაირების „ქუჩაში გატყუება" და ახალ წელს ძველებურად „ქაჯურად", ოჯახურ გარემოში ვხვდები, მამაპაპური ყანწით ხელში.

ეგეც არ იყოს და, იმ კონცერტზე როგორ წავიდოდი, სადაც იმას, თუ ვინ უნდა იმღეროს და ვინ არა, ქათმისკურტუმა სტეფანე წყვეტს თურმე...

მთავარი გალა „უფასო" კონცერტი, რა თქმა უნდა ნიცა-სანტროპე-აკაპულკოზე მაგარ ბათუმში გაიმართა. სადაც ამჯერად სიმღერის სურვილი ბებერ ხულიო ეგლესიასს გამოუთქვამს. თანაც ხულიოს შემოუთვლია, თუ სოფო ნიჟარაძესთან დუეტს არ მამღერებთ, ჩემი ფეხი არ იქნება ბათუმშიო...

ზემოთ რამდენჯერმე ჩავსვი სიტყვა უფასო, წინწკლებში. რადგანაც ისემც კარგი დაემართოთ მიშნაცებს, რავარც ის კონცერტებია უფასო. რაც შეეხება დონ ხულიოს, ამბობენ 4 მილიონი გადაუხადესო. სასტუმროს და აჭარული ხაჭაპურის ხარჯებზე არაფერია ცნობილი.

ხულიოს ჰონორართან დაკავშირებით კი დათა თუთაშხიადან ბოდლო ყვალთავას ცნობილი ფრაზა გამახსენდა – მაგ ფულად ბიჭო, ფოთის პოლიცმეისტერი გაიხდის!

ანუ მაგ ფულად, დონ ხულიო, დუეტს მშვენიერ სოფოსთან კი არა, ხათუნა გოგორიშვილთანაც იმღერებდა კაცი!

როგორც იქნა, დასრულდა მიშნაცების საახალწლო **ვიხარამაცი.** თუ „ქართულ ოცნებას" დავუჯერებთ, იმედია ბოლო. თუმცა, როგორც იმ საღამოს „კავკასიის" ეთერში პოეტმა რეზო ამაშუკელმა ირაკლი ალასანიას შეუძახა – ოცნებებში ხომ არ ჩაგეძინათო?! მეც ამის მეშინია, რადგანაც ნამეტანი ოცნებამ მართლაც ძილი იცის. მაგრამ ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს. მანამდე კი...

2 იანვარს, ანუ ბედობა დღეს, ნაბახუსევზე გამეღვიძა და სიგარეტისთვის გარეთ გავედი. ყველას გვინახავს ამ დროს თბილისის დაცარიელებული ქუჩები. მაგრამ გავიხედე და ტაძართან ნაცნობი გლახა არ დავინახე?!

ახალგაზრდა ქალს პატარა ბავშვი ეჭინა კალთაში, სირცხვილისგან თავჩაქინდრულს დამზრალი ხელისგული უსასოოდ გამოეშვირა. გამახსენდა გასული ღამეების საახალწლო **ვიხარამაცი,** დონ ხულიოს ჩაჯიბული და ჰაერში გასროლილი მილიონები, ჯიბეები მოვიჩხრიკე, მიშნაცებს დედ-მამის სული მოვუკითხე და ნაცნობ მათხოვარს გაყინულ ხელში რაც მებადა დარცხვენილმა ჩავუდე.

მე რიღასი მრცხვენოდა?

ვისაც ეს არ ესმის, ის ვერც იმას გაიგებს, თუ რატომ არ ვამთავრებ წინამდებარე წერილს ტრაფარეტული მილოცვით და ისევ დიდი ილიას „გაცვეთილი" ღაღადისი – „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?" – მინდა შეგახსენოთ...

**დავით მხეიძე**

## კონსტიტუცია ტანზე მოსარგებად

# ცვლილებები კანონში ერთი კაცის წინააღმდეგ?

## ამას ჰქვია, როგორც მინდა, ვჭრი და ვკერავო...

**უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად სპეციალური დასკვნის მომზადებისთვის განსაზღვრული ერთკვირიანი ვადა აღარ არსებობს. tribuna.ge-ს ინფორმაციით, „უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში შესული ცვლილების შესაბამისად, სპეციალური დასკვნის მოსამზადებლად ვადა განსაზღვრული აღარ არის.**

პრეზიდენტის ბრძანებულებაში შეტანილ ცვლილებამდე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ვალდებული იყო, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიზანშეწონილობისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობის საკითხის გადაწყვეტიდან დასკვნა პრეზიდენტისთვის წარსადგენად ერთ კვირაში მოემზადებინა. ამიერიდან სააგენტო ვალდებული აღარ იქნება, რომ დასკვნა კონკრეტულად ერთ კვირაში წარადგინოს.



უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობას ადგენს და გადაწყვეტილებას იღებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისია. საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობების არსებობას კომისიის წევრები ადგენენ საამისოდ მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით, შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამის გარდა, კომისია უფლებამოსილია, ცალკეული საქმეების თავისებურებების გათვალისწინებით, იმსჯელოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხზე, რა დროსაც იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესებით იხელმძღვანელებენ.

აი, როგორი კომენტარები კეთდება სოციალურ ქსელ Facebook-ზე:

**მზია:** „ივანიშვილი აღარ უნდა გახდეს საქართველოს მოქალაქე, ის მოვლენილია ჩვენი ქვეყნის ასარევად, სამოქალაქო დაპირისპირება უნდა, რუსულ მითითებებს ასრულებს ქონების გადასარჩენად. არ მისცეთ მოქალაქეობა მაგ არაკაცს. ომი რატომ უნდა მოხდეს ამ მახინჯი მიზანთროფის გამო? ყაჩაღებს ეპატიჟება საქართველოში, ფილარმონიაში ნახეთ? გაასახლონ ქვეყნიდან, აქვს ამის უფლება კანონს. უცხო ქვეყნის მოქალაქე 90 დღის შემდეგ არაკანონიერად იმყოფება ქვეყნის ტერიტორიაზე."

**ჯონდო:** „მზიკოო, „რა მაგარი – თავიანი რაღაც ხარ..."

**კოკო:** „კანონის, კონსტიტუციის მუხლისა და წესის შეცვლა ყოველ წუთსა და ყოველ წამს, არშემდგარი და უსუსური სახელმწიფოების ხვედრია. მჯერა, რომ საქართველო წარმატებულად განვითარებადი, ძლიერი ეკონომიკითა და უძლიერესი ჯარით გამორჩეული, რეგიონის სამაგალითო სახელმწიფოს წარმოადგენს. კრემლის აგენტებსა და სამშობლოს მოღალატეებს, კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით, თავისი, კომუნისტური და პროშევარდნაძისტული შეხედულება აქვთ და მავანნი ამ ცვლილებებს ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხს უკავშირებენ.

ნურას უკაცრავად, ბატონო ჩარეცხილებო, ვერ მოგართვით. ბიძინა ივანიშვილზე ეს ახალი წესები არ ვრცელდება იმიტომ, რომ იგი არც ერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე არ გახლავთ, დაბადებულია საქართველოში, არის ქართველი, მამა-პაპისეული სახლ-კარი საქართველოში აქვს, არის გულმხურვალე პატრიოტი, მუდამ მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს მოძმეს და სამუდამო განსასვენებლადაც თავისი მიწა-საქართველო აქვს შერჩეული. ამიტომ იგი, ყოველგვარი წესისა და კანონის მიუხედავად, არის საქართველოს ღირსეული მოქალაქე და მისი მოქალაქეობა არავითარ მითქმა-მოთქმას არ ექვემდებარება. კრემლის გოშიებო, ერის მოღალატენო და გამყიდველნო, სულ ტყუილად ქილიკობთ, ჩვენი პრეზიდენტი გონიერი კაცია და გონივრულადაც მოიქცევა!

**ზეზვა:** „მზიკოოო, სახლში წამოდი, შენი ადგილი „ქუხნაშია", პოლიტიკას თავი დაანებე. ვაი, შენს პატრონს! 90 დღე კი არა, 365 დღე შეუძლია იყოს საქართველოში, ისიც უბრალოდ ამოწურვამდე გადაკვეთს საზღვარს და ისევ გადმოკვეთს და კიდევ 365 დღე შეუძლია... მოკლედ განათლებაში და კანონების ცოდნაში ხომ ჩაინიკი ხარ და ზოგადადაც წარმოდგენა არ გაქვს ცხოვრებაზე...."

„მარაზმი და აღმაშფოთებელია ეს ყველაფერი. ამის ატანაც არ შეიძლება. ნუთუ ჩალით არის დახურული ეს ქვეყანა და დედამიწა საერთოდ!"

„ამას ქვია კანონს „ვჭრი და ვკერავო". ხელისუფლების მხრიდან ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები მართლაც „აგონიურია".

„ცვლილებები კანონში ერთი კაცის წინააღმდეგ..."

„სასაცილო კი არა, მარაზმია. მიშა ქვეშაფსიაა. რუსების თვითმფრინავის ხმაზე მეტად ეშინია უკვე..."

„სადაა განმუხურის დევგმირი კაცი..."

**ქიბარ ხალვაში:** „განმუხურის ამბავში 5 მილიონი აქვს გადახდილი...მწვანეთი..."

„კი, დაახლოებით ვიცოდი".

**ქიბარ ხალვაში:** „ცხინვალშიც იხდიდა, მაგრამ აჭამეს ბიჭს. ეგონა, მარტო მას შეეძლო გადახდა..."

„საქართველოში ბოლო დროს მიღებულ ყველა კანონს და საკანონმდებლო ცვლილებას ერთი ადრესატი ჰყავს – ბიძინა ივანიშვილი. ამით ცდილობს ხელისუფლება, შეანელოს შეაფერხოს ის მუხტი რაც საქართველოში გაჩნდა .... ვერ მოგართვით...."

„მალე ბიძინას კონსტიტუციასაც დაწერენ და აღარ დასჭირდება კაცს პიარი და რეკლამა".

„კონსტიტუციას დაწერენ, ქიბარ თუ... კონსტიტუციას კიდევ ერთხელ მოირგებს ტანზე?"

„მაგას იმნაირი ტანი აქვს, არაფერი არ მოუხდება. არც გემოვნება არა აქვს.

ისე, მართლა, ვინ ურჩევს ამას ტანსაცმელს?... სულ ვიძახი, მიშას პიარშიკი გულით ოპოზიციონერია-მეთქი..."

**ნატა ნიბლაძე**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ფუი, ეშმაკს!!!

იქ, სადაც შოთა მარგალიტაშვილია „ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი", მიხეილ სააკაშვილი აუცილებლად „პრეზიდენტი" იქნება. მისი თქმით, სააკაშვილის გელათში ყოფნისას, მიშა ყოფილა „არწივი, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავს დასტრიალებს და ქვეყანას აშენებს".

**„ქრონიკა".**



### „ბათუმის უნივერსიტეტი გიული ალასანიამ იყიდა"

– ამბობს ხალხის პარტიის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძე, – ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ, უნდათ, რომ შავი ზღვის უნივერსიტეტად გადააკეთონ.

საზოგადოებისთვის ცნობილია ასევე, რომ ბათუმის სამშობიარო სახლიც გაყიდულია...

**„ახალი თაობა".**

### „დასავლელი პარტნიორები საქართველოს ისრაელ-ირანის მოსალოდნელ ომში მეორეხარისხოვანი როლის შესასრულებლად ამზადებენ"

– ამბობს ექსპერტი მამუკა არეშიძე, – თუ ირანი ბირთვულ პროგრამას გაზაფხულამდე არ შეწყვეტს, ისრაელის სამხედრო ძალები ირანულ ატომურ ობიექტებს დაბომბავენ. ეს თელ-ავივის მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადებაა, რომელსაც თავის მხრივ თეირანმაც მუქარით უპასუხა... ასეთ სიტუაციაში დასავლელი პარტნიორები საქართველოს მეორეხარისხოვანი როლის შესასრულებლად ამზადებენ. იგულისხმება ჰუმანიტარული ტვირთების გადატანა, სამხედრო ბაზების განლაგება და ა. შ.

**„ვერსია"**

### არჩევნების წინ მერიის თანამშრომლებს ხელფასებს 100-200 ლარით უზრდიან

აშკარაა, რომ ეს გადაწყვეტილება არჩევნებს უკავშირდება. ხელისუფლება ცდილობს, რომ თავისი ადმინისტრაციული რესურსი საკუთარი შესაძლებლობების გასამყარებლად გამოიყენოს – ვიღაცას ხელფასი უნდა მოუმატოს, რომ ამით მხარდაჭერა მიიღოს.

**„რეზონანსი"**

### „ივანიშვილის შიშით ლამის ფულიც გააუქმონ ქვეყანაში

– ამბობს ფილოსოფოსი გიორგი მარგველაშვილი, – ბოლო დროს ხდება აპელირება, რომ თურმე პოლიტიკაში ფული მიუღებელი იარაღია და ასე ვთქვათ, სათამაშო ერთეულია. ეს ისეთი იდიოტიზმია, რომლის მსგავსიც არავის მოსვლია თავში.

**„კვირის პალიტრა"**

### „დიახაც, მალე ჩამოვალ!"

– აცხადებს კიევიდან ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, ცნობილი მწერალი გურამ პეტრიაშვილი, – ბატონ შალვას და ბიძინას მოვუწოდებ: ძმებო, თქვენი ჭირიმე, არაფერი გაქვთ გასაყოფი, ორივეს გიყვართ საქართველო და რამენაირად აიტანეთ ერთმანეთი! სააკაშვილი სამშობლოს უფსკრულისკენ მიაქანებს და ეცადეთ, ერთიანი ძალით შეაჩეროთ ეს ბანდიტები!

**„ასავალ დასავალი".**

სამეგრელოს მხარე

# სპეციალურად გაყალბებული მისამართი და მითვისებული თანხები

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და სასამართლოების შეთანხმებულ, უსამართლო ქმედებათა გამო ზუგდიდის მკვიდრი გენადი კორკელია 16 წელია იბრძვის სიმართლის დასადგენად, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ის ისჯება მის მიერ ჩადენილი კეთილი საქციელის გამო — თავის საკუთარ საცხოვრებელში დროებით შეუშვა დევნილები, მაგრამ ახლა ვერც საკუთარ ფართს იბრუნებს და ვერც თავის კუთვნილ თანხას იღებს, თანაც უტიფრად ეუბნებიან, შენს კუთვნილ ფართზე დევნილები არ ცხოვრობენო.**

გენადი კორკელია თავის მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობს მამისეულ 64 კვადრატულ მეტრიან სახლში, ამიტომაც ის კანონიერად ითხოვს მის საკუთრებაში არსებულ ზუგდიდში, ნარმანიას ქუჩა №1-ში მდებარე ყოფილ საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის მეორე სართულზე არსებულ 187 კვ.მეტრ ფართს, რომელშიც აფხაზეთიდან (გალის რაიონიდან) დევნილები ცხოვრობენ. 1995 წლიდან დღემდე მან განცხადებით მრავალჯერ მიმართა პრეზიდენტს, პარლამენტს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, მაგრამ უშედეგოდ.

2004 წლამდე გენადი კორკელია ბინას თუ ვერ იბრუნებდა, თითო დევნილზე 3,50 ლარს მაინც იღებდა, მაგრამ 2004 წლიდან 2010 წლამდე ვერ გაარკვია, თუ რატომ მოეხსნა ეს თანხა და ბოლოს, როგორც იქნა, გაარკვია, რომ დევნილების პირად მონაცემებში მისამართი იყო ხელოვნურად გაყალბებული. ნარმანიას ქუჩის ნაცვლად მითითებული იყო ზვიად გამსახურდიას გამზირი №15, რომელიც გახდა იმ სახელმწიფო დახმარების მოხსნის მიზეზი (სულ 38 დევნილი), არადა, გამსახურდიას №15-ში დევნილებს არასოდეს უცხოვრიათ.

ბინას რომ ვერ იბრუნებდა, გენადი კორკელია შეეცადა ხელოვნურად შეჩერებული კუთვნილი თანხის მიღებას, ამიტომაც სარჩელით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. მოპასუხე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ყალბი დოკუმენტებით ატყუებდა მოსამართლე ლ.ცანავას, რომ ნარმანიას ქუჩა №1-ში დევნილები არ ირიცხებოდა, რასაც მოსამართლე დუმილით ხვდებოდა და ერთხელაც არ დაინტერესებულა, დაედგინა, სად ცხოვრობდნენ დევნილები.

ცანავამ გ.კორკელიას საჩივარი არ დააკმაყოფილა.

გენადი კორკელიამ ზუგდიდის სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც სარჩელი ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. სხვა მოსამართლე ირაკლი აბშილავაც დაეყრდნო ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ყალბ მონაცემებს, რომ დევნილები რეალურ მისამართზე, ნარმანიას №1-ში კი არა, გაყალბებულ გამსახურდიას №15-ში ცხოვრობდნენ. არც აბშილავა დაინტერესდა გაერკვია რეალური მისამართი, არადა ნარმანიასა და გამსახურდიას ქუჩები ძალიან ახლოს მდებარეობს ერთმანეთთან და ამ საკითხის გარკვევას სულ 10 წუთი სჭირდებოდა. ი. აბშილავამაც არ დააკმაყოფილა კორკელიას საჩივარი, უფრო მეტიც კიდევ უფრო გაართულა ვითარება და სასამართლოს ხარჯები — 1400 ლარი გენადი კორკელიას დააკისრა.

გენადი კორკელიამ საჩივარი ისევ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა, მაგრამ მისი სარჩელი არც ამჯერად დაკმაყოფილდა. გ.კორკელიამ უზენაეს სასამართლოს მიმართა, რომელმაც მას წინასწარ მოსთხოვა სამასი ლარის გადახდა! ამის საშუალებაც მას არ გააჩნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სასამართლო პროცესზე წარდგენილი იყო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც 2007 წლიდან 2010 წლის ჩათვლით ზუგდიდში, გამსახურდიას №15-ში მცხოვრებ დევნილებს კომუნალური მომსახურების სახით გაეწიათ 17 000 ლარის მომსახურება, მაშინ, როდესაც ამ მისამართზე დევნილებს არასოდეს უცხოვრიათ. საკითხავია, სად, ვის ჯიბეში წავიდა ეს სოლიდური თანხა? ამაზე, მიუხედავად კორკელიას ოფიციალური მოთხოვნისა, არც ერთ მოსამართლეს არ გაუმახვილებია ყურადღება.

მიმდინარე წლის ივნისში გენადი კორკელიამ ისევ შეიტანა სარჩელი ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში უკვე დევნილების გამოსახლების თაობაზე, სარჩელი წარმოებაში მიიღო ისევ „მოსამართლე" ირაკლი აბშილავამ. ის შეუდგა ჩემსა და დევნილებს შორის შემრიგებლის როლის შესრულებას და სთხოვდა დევნილებს, გადასულიყვნენ სხვაგან საცხოვრებლად და ჩემი ფართი მე დამბრუნებოდა. ამ მოტივით სასამართლო პროცესი 5 თვე მიმდინარეობდა. აბშილავას ჩემზე „ზრუნვა" არ გამოუვიდა. როგორც მოპასუხე მხარემ — დევნილთა სამსახურის წარმომადგენლებმა და მოსამართლე ი. აბშილავამ აღიარეს, რომ ისინი 2 წლის მანძილზე ტყუოდნენ და დევნილები ნამდვილად ცხოვრობდნენ ჩემს კუთვნილ საცხოვრებელ ფართობში ნარმანიას ქუჩა №1-ში და არა გამსახურდიას ქუჩა №15-ში. თუმცა ი.აბშილავამ რაღაც შეთითხნილი და მოგონილი მიზეზების გამო ისევ უარი მითხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, — აღნიშნა გენადი კორკელიამ. ის მოითხოვს, რომ მოსამართლე აბშილავამ აღიაროს თავისი დანაშაული და ამხილოს ის გაუშიფრავი თუ გაშიფრული თაღლითური საქმე, ასევე ამხილოს ის პირები, რომლებიც დევნილებისთვის გამოყოფილ თანხებს ითვისებდნენ. გენადი კორკელიამ უკვე მერამდენედ მიმართვის წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, სადაც ის ითხოვს სიმართლის გარკვევას, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ გაიყვანოს დევნილები მისი კუთვნილი საცხოვრებელი ფართობიდან.

# ოთარ ბერიშვილი: „დრო გალელების წინააღმდეგ მუშაობს"




გალის რაიონი, ძველი სამურზაყანო, მთლიანად ქართველებით დასახლებული ეს ტერიტორია, ყოველთვის იყო ე.წ. აქილევსის ქუსლი აფხაზეთისთვის და აფხაზებისთვის. ახლა, როცა იქ ქართული იურისდიქცია არ ვრცელდება, აფხაზური ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს გალის რაიონის მოსახლეობის ინტეგრირებას ერთიან აფხაზურ სივრცეში.

ამ დღეებში სოხუმში ჩატარდა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის ყველა რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ეს შეხვედრა მიეძღვნა გალის რაიონის მოსახლეობის ადაპტაციას ერთიან აფხაზურ საზოგადოებაში. შეხვედრის მონაწილეები შეხვდნენ აფხაზეთის სახალხო კრების დეპუტატებს, უხუცესთა საბჭოს და მის ხელმძღვანელს კონსტანტინე ოზგანს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო პერიოდში გალის მოსახლეობის ადაპტაციის პროცესმა ერთიან აფხაზურ სივრცეში ახალი იმპულსი მიიღო და პროცესიც წარმატებით მიმდინარეობს.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გვიზიარებს ზუგდიდში განთავსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლობის თანამშრომელი, გალის რაიონის მკვიდრი ოთარ ბერიშვილი, რომელიც ძალიან ხშირად იმყოფება თავის მშობლიურ რაიონში: **„გალის რაიონში ამჟამად მუდმივად ცხოვრობს 30 000-მდე ადამიანი, ხოლო ამდენივე მოძრაობს. აფხაზურ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ისინი, ვინც ამჟამად გალის რაიონში ცხოვრობს, მათი მომხრეა და ცნობენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას. გარედან ეს ასე ჩანს, ქართველებიც არაფერს იმჩნევენ, არადა, ვითარება სულ სხვაა. შინაგანად ყველა გალელი ქართული ორიენტაციისაა და ყველანი იქ ქართული იურისდიქციის აღდგენაზე ოცნებობენ. ეს აფხაზებმაც იციან და ამიტომაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ გალელები.**

**გალელების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესებზე აფხაზები ბევრს მუშაობენ. დრო ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს და თუ ზომები დროულად არ მივიღეთ, ეს პროცესი, მიუხედავად გალელების შინაგანი წინააღმდეგობისა, შესაძლებელია მაინც გაღრმავდეს. აფხაზებმა უნდა გააცნობიერონ რომ ქართველები მათი მტრები არ არიან, არ უნდა გაატარონ ისეთი მკაცრი ღონისძიებები ქართველების მიმართ, როგორიცაა ქართული სკოლების დახურვა! აფხაზებმა არ უნდა დაუშვან და არ უნდა წაართვან გალელებს საკუთარ ენაზე სწავლების უფლება. ისევ ვიმეორებ: დრო გალელების საწინააღმდეგოდ მუშაობს",** — განაცხადა ოთარ ბერიშვილმა.

ლადო ქირია,
(ზუგდიდი)

ინფორმაცია

# ოსურმა მხარემ ოძისიდან დაკავებულები გაათავისუფლა

**ოსურმა მხარემ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოძისის მცხოვრებლები პაატა ჯავახიშვილი და გიორგი გურგენიშვილი გაათავისუფლა.**

**პატიმრობიდან გათავისუფლებული პაატა ჯავახიშვილი მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში აცხადებს, რომ ქართულ-ოსურმა მხარეებმა დაკავებულები გაცვალეს: საქართველოს 12 მოქალაქის გათავისუფლების სანაცვლოდ ქართულმა მხარემ ოსი ეროვნების 13 მოქალაქე გაათავისუფლა.**

**„როცა რუსებმა დამაკავეს, ტყეში ფიჩხს ვაგროვებდი. ჯერ ახალგორში წამიყვანეს. დაკითხვის დროს ძალიან აგრესიულები იყვნენ. ახალგორიდან ცხინვალის ციხეში გადაგვიყვანეს. მაგრამ ზეწოლა არ ყოფილა. ჩემთან ერთად კიდევ 15 ქართველი იყო დაკავებული", — განაცხადა პატიმრობიდან გათავისუფლებულმა პაატა ჯავახიშვილმა. მისი თქმით, ამ დროისათვის ცხინვალის ციხეში კიდევ 4 ქართველია დარჩენილი.**

ინტერპრესი

# განცხადება
## მეორე აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი — შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს აბაშის რაიონი, სოფელ ნორიოში მდებარე ნონა ძველაიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**მეორე აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** აბაშის რაიონი, სოფელი ნორიო (საკადასტრო კოდი: 40.07.01.140), სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 0.16ჰა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა, დაშენების ფართი №1 – 153.0კვ.მ., №2 – 26.8კვ.მ.;
2. **უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;
3. **უძრავი ქონების საწყისი ფასი:** 12011,94 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს პლუს 2077.44 ლარი საარბიტრაჟო მოსაკრებელი და 1675,88 ლარი სპეციალისტის მომსახურების საფასური;
4. **მეორე აუქციონის დაწყების დრო:** 2012 წლის 16 იანვარი, 12:00 საათი;
5. **მეორე აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, ამაღლების ქ. №36;
6. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნონა ძველაია (პირადი №02001018662), მისამართი: აბაშა, თავისუფლების ქ. №98;
7. **მოვალეები:** ი/მ „შუქური ჯოჯუა" (პირადი №02001002133) და პაატა ბოკუჩავა (პირადი №02001008850);
8. **მეორე აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;
9. **მეორე აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ;
- თუ მეორე აუქციონზე იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი ვერ გაიყიდა, კრედიტორისა და მოვალის (უძრავი ნივთის მესაკუთრის) შეთანხმებით შესაძლებელია მოთხოვნა დაკმაყოფილდეს კრედიტორისათვის უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემით.

***ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს უფლებები აბაშის რაიონი, სოფელ ნორიოში (საკადასტრო კოდი: 40.07.01.140) მდებარე უძრავ ნივთზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2012 წლის 6 იანვრის 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ამაღლების ქ. №36.***

# საქართველო ჩვენვე უნდა ვმართოთ და გადავარჩინოთ

### დისიდენტები და მათი თაყვანისმცემლები

გვინდა ყურადღება შევაჩეროთ დისიდენტის ფენომენზე, ვინაიდან ჩვენს საზოგადოებაში იგი დღემდე მრავალ გაუგებრობას იწვევს.

სიტყვა „დისიდენტი“ სხვაგვარად მოაზროვნეს ნიშნავს. სხვაგვარად აზროვნება ანუ დისიდენტობა განსაკუთრებულ მოვლენად ითვლება ტოტალიტარულ საზოგადოებაში, რადგან იქ ყველა მოვალეა, ერთგვარად აზროვნებდეს. ასეთ საზოგადოებაში დისიდენტი მომენტალურად იძენს გმირისა და ტანჯულის შარავანდედს. თანაც, რაც უფრო ყოვლისმომცველი და დამთრგუნველია ტოტალიტარული რეჟიმი, მით უფრო სახელოვანი ხდება დისიდენტი საზოგადოებაში.

დისიდენტობა საბჭოთა კავშირის თანმხლები მოვლენა იყო. განსაკუთრებული ჰეროიზაცია შეიძინა მან გვიანსაბჭოურ პერიოდში. სახაროვის, ორლოვის, ჟალიძის, სოლჟენიცინის, შაფარევიჩის, ჩორნოვილის, ლუკიანენკოს, კოსტავას, გამსახურდიას სახელები ყველას პირზე ეკერა. არავის აინტერესებდა მათი ბრძოლის მიზნები და ამოცანები. მთავარი იყო, რომ ისინი ყველანი ებრძოდნენ კომუნისტურ საბჭოთა იმპერიას და ეს სრულიად საკმარისი იყო პოპულარობისთვის. გავიხსენოთ: 70-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა დისიდენტური მოძრაობა (ერთიანად, ნიუანსებისა და ელფერების გარჩევის გარეშე) ნობელის პრემიის ნომინანტი გახდა.

არადა ამ დისიდენტებს, რომელთაგან მრავალს, საბჭოთა რეჟიმმა საკმაოდ ახეხინა ციხის კედლები, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მეტიც – ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები ჰქონდათ. თუ სახაროვის, ბონერის, გეფტერის, ორლოვის, კოვალიოვის ამოცანა იყო კომუნისტური ტირანიისაგან თავდახსნა და იმპერიის შენარჩუნება მისი დემოკრატიულ ყაიდაზე მოდერნიზების გზით (აკი გამოიყენა კიდეც მათი იდეები გორბაჩოვმა), სოლჟენიცინისა და შაფარევიჩისათვის მთავარი იყო საბჭოთა კავშირისაგან რუსული „დერჟავას“ აღდგენა („ცარისტული“ რუსეთი „ცარის“ გარეშე). სოლჟენიცინი უფრო შორსაც მიდიოდა – იგი თანახმაც კი იყო, უარი ეთქვა ბალტიაზე, კავკასიასა და შუა აზიაზე, ოღონდ ერთ რუსულ სახელმწიფოში მოეცულიყო რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია და ჩრდილოეთ ყაზახეთი. მიუხედავად, როცა რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია და ყაზახეთი ცალკე სახელმწიფოებად იქცნენ და როცა აღმოჩნდა, რომ მისი საოცნებო „დერჟავა“ ვერაფერით ვერ ყალიბდებოდა, უარი თქვა თავის პირვანდელ იდეაზე, რომელმაც არ გაამართლა („ეროლა სტალინს, გაართვა რუსეთსა“), და მიემხრო პუტინს „დარჩენილი რუსეთის წამოდგომაში“.

მათთან განსხვავებით ჩორნოვილის, ლუკიანენკოს, ლანდსბერგისის, კოსტავას და გამსახურდიას იმპერიის გადარჩენა არ აინტერესებდათ. მათი მიზანი სხვა იყო - საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობა. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესში იმპერიული და ეროვნული სულისკვეთების დისიდენტები ერთმანეთს დაშორდნენ და ბოლოს, მკვეთრად დაუპირისპირდნენ კიდეც. სამაგიეროდ, დაახლოვდნენ ეროვნული დისიდენტები (გამსახურდია – ლანდსბერგისი).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, სახაროვი და ბონერი ვეღარ იქნებოდნენ ავტორიტეტები გამსახურდიასა და მისი თანამებრძოლებისათვის. პირიქით, ეს წყვილი უკვე წარმოადგენდა ახალ იმპერიულ ძალას, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკათა (მათ შორის, პირველ რიგში, საქართველოს) დაქუცმაცებით ცდილობდა „დერჟავას“ გადარჩენას. სამაგიეროდ, ხბოს აღტაცებით შეეგება მათ ჩვენი ფსევდოლიბერალური ელიტა. არადა, ამ წყვილის ჩამოსვლის მიზანი ხომ სწორედ ის იყო, რომ დაეფიქსირებინათ ეთნიკური უმცირესობების ჩაგვრა საქართველოში, რაც კიდევ ერთი არგუმენტი იქნებოდა მათი კონცეფციის სასარგებლოდ. ამიტომაც გვიწოდა სახაროვმა „მცირე იმპერია“. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, სწორედ სახაროვს უკმიეს ჩვენთან გუნდრუკი, ხოლო გამსახურდია ათვალწუნებული ჰყავდათ, თავის დროზე, იმპერიული დისიდენტების „ჩაშვების“ გამო. რას იზამ, „მოყვრის მგმობი, მტრის არ მცნობი“ - ილიას ეს სიტყვები მაშინდელი ქართული ელიტის უმრავლესობისათვის ზედგამოჭრილი ჩანდა.

### „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“

ფორუმიდან გასულმა ზ.გამსახურდიამ და მისმა თანამოაზრეებმა შექმნეს პოლიტიკური ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“. ამ ორგანიზაციის დამფუძნებლები იყვნენ: ჰელსინკის კავშირი, ილია მართლის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება და მონარქისტული პარტია (ეს უკანასკნელი ზაფხულში გავიდა „მრგვალი მაგიდიდან“, ხოლო იმ მონარქისტებმა, ვინც დარჩენა არჩიეს, შექმნეს ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, „მრგვალი მაგიდის“ დამფუძნებლის სტატუსით).

დიდი გაერთიანების შექმნის მიზნით „მრგვალი მაგიდის“ დამფუძნებლებმა დაიწყეს კონსულტაციები ეროვნული მოძრაობის იმ პარტიებთან, რომლებიც აპირებდნენ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას. შედეგი არ იყო წარმატებული. „მრგვალ მაგიდას“ შეუერთდა მხოლოდ სამი პარტია: ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი, ეროვნულ-ლიბერალური პარტია და ეროვნულ-ქრისტიანული პარტია. დანარჩენმა პარტიებმა არ ისურვეს „მრგვალ მაგიდაში“ გაერთიანება (და შესაბამისად, უარი თქვეს ამ ორგანიზაციის მიერ არჩეულ სწორ გზაზე).

წარუმატებლობის მიზეზი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დამკვიდრებული სენია. იდეის გარშემო გაერთიანება (იდეის ღირებულების მიუხედავად) ნიშნავს იდეის ავტორის უპირატესობისა და, შესაბამისად, მისი წინამძღოლობის აღიარებას, რაც ქართველ პოლიტიკოსთაგან, რომლებიც ზღვარგადასული ამბიციებით გამოირჩევიან, წარმოუდგენელი საქციელია. ასე იყო ოცი წლის წინათ და ასეა დღესაც. ვიმეორებთ, ის რომ საქმე ეხებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების გზით საქართველოს დაქუცმაცებისაგან გადარჩენის იდეას, პოლიტიკოსთა ქცევაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

გაითვალისწინა რა ქართველ პოლიტიკოსთა ავი ზნე, ზ. გამსახურდია 1990 წლის აგვისტოს მიწურულს საკუთარი ფეხით ეახლა ახლად შექმნილი საარჩევნო ბლოკ „თავისუფლების“ ლიდერებს (იმ მომენტისათვის გაერთიანებულნი იყვნენ რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, დასი, მწვანეთა პარტია, სახალხო ფრონტი და რუსთაველის საზოგადოება (ბლოკში ასევე გაერთიანებული იყო ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი. რედ.), და შესთავაზა გაერთიანება შემდეგი პირობებით: საარჩევნო სია შედგენილიყო პარიტეტული პრინციპით (თანაბრად „თავისუფლებასა“ და „მრგვალ მაგიდას“ შორის), თანახმა იყო პირველი ათი ადგილი წაელო „თავისუფლებას“, ხოლო თვითონ ზ.გამსახურდია ჩაეწერებოდა ორმოცდამეათე ნომრად.

ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, რომელიც უნიკალურ შანსს იძლეოდა. მას შემდეგ უამრავი საარჩევნო ბლოკი შექმნილა, მაგრამ ამგვარი პირობა არასოდეს წამოუყენებიათ. პირიქით, ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ, თუ როგორი ხელჩართული ბრძოლები იმართება ხოლმე საარჩევნო სიის პირველი ათეულის დასაკავებლად. უნდა ვივარაუდოთ, რომ ზ.გამსახურდიასათვის იმდენად მაღალი ღირებულებისა იყო არჩევნებში გამარჯვების გზით დამოუკიდებლობის მიღწევა, რომ არად დაგიდევდათ საარჩევნო სიაში ადგილებს.

საოცარია, მაგრამ „თავისუფლების“ ლიდერებმა ზ.გამსახურდია უარით გამოისტუმრეს. აკაკი ბაქრაძის, მიხეილ ნანეიშვილის და ზურაბ ჟვანიას აზრი გადამწყვეტი აღმოჩნდა. ნოდარ ნათაძემ თავი შეიკავა. მხოლოდ რეზო შავიშვილი და დავით მარღანია (ცვლიდა ირაკლი შენგელაიას მისი არყოფნისას) იყვნენ გაერთიანების მომხრენი. საინტერესოა, რომ უარი არ იყო არგუმენტირებული. ეს შემდგომში სხვადასხვა ჭორის საფუძვლად იქცა. ფაქტი ერთია, ისინი ვერ გაერკვნენ შექმნილ ვითარებაში და მოქმედების არასწორი გზა აირჩიეს.

„თავისუფლების“ ლიდერების უარმა საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოს უახლეს ისტორიაში. „მრგვალმა მაგიდამ“ მაინც გაიმარჯვა არჩევნებში და კვალიფიციური უმრავლესობა მოიპოვა. საქართველოს უმაღლესი საბჭო რომ პრაქტიკულად ერთპარტიული აღმოჩნდა მთლიანად „თავისუფლების“ ლიდერების დამსახურება იყო. „თავისუფლება“ უმაღლეს საბჭოში „მრგვალი მაგიდის“ პოზიტიურ მოქმედებებს მხოლოდ გააძლიერებდა, ხოლო ნეგატიურ ექსცესებს მაქსიმალურად გაანეიტრალებდა. გარდა ამისა, მისი სახით ახალ ელიტას წარმომადგენელი ეყოლებოდა უმაღლეს საბჭოში. ყოველივე ეს კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ყველაფერი სისხლისღვრით დასრულდა.

„მრგვალი მაგიდის“ გამარჯვებას ის მოჰყვა, რომ საქართველო დაუძვრა „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ მახეს და გახდა დამოუკიდებელი. „მრგვალმა მაგიდამ“ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მას მხარი დაუჭირა მოსახლეობის ფართო ფენებმა. სწორედ ამ უპრეტენზიო და სამშობლოსათვის გულანთებულმა ხალხმა, რომელსაც ერთი წლის შემდეგ ელიტარებმა „ლექი“ უწოდეს, გადაარჩინა ქვეყანა განსაცდელს. რაც შეეხება ჩვენს ელიტას, იგი მაქსიმალურად ეცადა, შეენარჩუნებინა საკუთარი პოზიციები, „პერესტროიკის“ მეინსტრიმშიც ჩაჯდა, მაგრამ არჩევანი შეეშალა და ქვეყნის განთავისუფლების პროცესის მიღმა აღმოჩნდა.



### საბჭოთა კავშირის აღსასრული

1991 წლის 8 დეკემბერს ვისკულაში (ბელოვეჟსკაია პუშჩა, ბელორუსია), სამმა შეზარხოშებულმა პრეზიდენტმა, ელცინმა, კრავჩუკმა და შუშკევიჩმა ერთი ხელმოწერით წერტილი დაუსვეს საბჭოთა კავშირის არსებობას. უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული ბოროტების იმპერია, რომელიც ბიპოლარული მსოფლიოს ერთ პოლუსს წარმოადგენდა, ერთბაშად გაქრა პოლიტიკური სცენიდან.

მრავალეროვანი საბჭოთა კავშირი სინამდვილეში ვერშემდგარი მონსტრი-სახელმწიფო იყო. როგორც აღვნიშნეთ, იგი არ იყო სიცოცხლისუნარიანი, არ გააჩნდა ამისათვის შინაგანი რესურსი. მისი ფუნქციონირება დამოკიდებული იყო კომუნისტური პარტიის უსასტიკეს დიქტატურასა და მობილიზაციურ ეკონომიკაზე. ასეთი რეჟიმი კი მხოლოდ ექსტრემალური ვითარებისას და, თანაც, ხანმოკლე ვადით არის ეფექტური. გრძელვადიან პერსპექტივაში იგი უკვე კონტრპროდუქტიული ხდება. საბჭოთა კავშირმა რაც იარსება, ესეც „უდიდესი მიღწევა“ იყო, რაც საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ უკლებლივ ყველა ხალხს არნახულ ფასად დაუჯდა.

ფაქტია, რომ სწორედ „მრგვალი მაგიდისა“ და მისი ლიდერის ძალისხმევით აღმოჩნდა საქართველო (ბალტიის ქვეყნებთან ერთად) მძლავრი ცენტრიდანული პროცესების წარმმართველი. ეს იყო ერთადერთი სწორი გზა საქართველოს გადასარჩენად. ასეთი გზა კი არასდროს ყოფილა იოლი და ია-ვარდით მოფენილი.

დღეს უკვე მრავალი რუსი ექსპერტი აღნიშნავს საქართველოს მნიშვნელოვან როლს საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციაში. გორბაჩოვის თანაშემწე ჩერნიაევი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, იგი მომხრე იყო, გაეშვათ ბალტიის რესპუბლიკები და საქართველო საბჭოთა კავშირიდან და ამით შეენარჩუნებინათ დანარჩენი რესპუბლიკები. ამასვე ურჩევდა თურმე სუკის გენერალი ლეონოვი თავის ხელმძღვანელობას. ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ უდიდესი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის დაშლაში.

აგვისტოს პუტჩის შემდეგ გორბაჩოვი უკვე იძულებული გახდა ყურად ეღო რჩევები. ოღონდ გაუშვა მხოლოდ ბალტიის ქვეყნები, საქართველოს საკითხი კი გადადო იმ მიზეზით, რომ სწორედ ამ დროს, სრულიად „შემთხვევით“, თბილისში მოხდა ოპოზიციის აქციის დარბევა კინოს სახლთან (მთავარი ეჭვმიტანილი დამრბევია!).

1991 წლის ბოლოს საქართველოს რუსეთის ფედერაციამაც მიბაძა. ელცინი იძულებული იყო ასეთი ნაბიჯი გადაედგა, რადგან „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ წყალობით ვეღარ აკავებდა თავის ავტონომიებს (მოწოდება „აითვისეთ იმდენი სუვერენიტეტი, რამდენსაც მოინელებთ“, აღარ კმაროდა. ჩეჩნეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რიგში თათრეთი იყო). მხოლოდ რუსეთის ფედერაციის დამოუკიდებლობის გამოცხადებით შესძლო მან, შეეჩერებინა დეზინტეგრაციის პროცესი.

ასე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის გამო კი არ გახდა საქართველო დამოუკიდებელი, არამედ პირიქით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დააჩქარა საბჭოთა კავშირის დაშლა. სწორედ „მრგვალი მაგიდის“ დამსახურებაა, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა 1991 წლის მიწურულს და არა უფრო გვიან (მაგ. ხუთი, ათი ან ოცი წლის შემდეგ).

უფრო მეტიც, საქართველოს დამოუკიდებლობა მსოფლიოს ქვეყნებმა და გაერომაც 1991 წლის 9 აპრილის აქტის საფუძველზე და მის მიერ დადასტურებულ ტერიტორიულ ფარგლებში იცნო. ეროვნული ხელისუფლების და მისი მეთაურის უდიდესი ძალისხმევის შედეგები დღესაც დაუძლეველ წინააღმდეგობას უქმნის საქართველოს დაქუცმაცების მრავალ ძლიერ მსურველს.

ვერავინ მიისაკუთრებს და ვერც მიჩქმალავს ამ დამსახურებას.

### ბოლოთქმა

საქართველო უკვე ოცი წელია დამოუკიდებელია. მას აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა ატრიბუტი: აღნიშნულია მსოფლიო რუკაზე, აქვს შემოსაზღვრული ტერიტორია, გერბი, დროშა, ეროვნული ვალუტა, შეიარაღებული ძალები. მაგრამ რეალურ დამოუკიდებლობამდე ჯერ შორია.

საერთოდ ერს დამოუკიდებლობისათვის ელიტა ამზადებს ხოლმე. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს ელიტამ ეს ფუნქცია ვერ შეასრულა. დამოუკიდებლობის მოპოვებისას იგი სხვა საქმით იყო დაკავებული. მეტიც, ზოგიერთი წარმომადგენელი, დღესაც კი, თავს უფლებას აძლევს დამოუკიდებლობის მოპოვება უარყოფით კონტექსტში მოიხსენიოს.

როდესაც მივხვდებით, რომ ჩვენი ქვეყანა ჩვენვე უნდა ვმართოთ და ჩვენი ბედი ყარაყორუმში არ უნდა წყდებოდეს, როდესაც უცხოური კრედიტებით კი არა, საკუთარი შემოსავლებით ვიცხოვრებთ, როდესაც ბოლოს და ბოლოს მოვახერხებთ დამოუკიდებელ ქვეყანაში ხელისუფლება ჩვენ ავირჩიოთ და ჩვენვე შევცვალოთ, როდესაც კანონი გახდება ჩვენი ყველაზე დიდი ფასეულობა და ხელისუფლებას ვაიძულებთ მისი უმაღლესი მიზანი მოქალაქეთა სულიერი და ნივთიერი წინსვლა და კეთილდღეობა იყოს, მხოლოდ მაშინ ვიქნებით იმ დიდი ძალისხმევისა და გმირული შემართების ჭეშმარიტი მემკვიდრეები, რომელიც ქართველმა ხალხმა და მისმა ხელისუფლებამ გამოიჩინა 1990-91 წლების გადამწყვეტ დღეებში.

სამწუხაროდ, ჯერ ბევრი გვიკლია აქამომდე.

**გურამ სანადირაძე,**
**ნიკოლოზ სანებლიძე**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 3-4

# მცირედი უკონტაქტო ექსპერიმენტი,

## ანუ რატომ მომინდა ამერიკული წერილების ხის ჩარჩოში ჩასმა და კედელზე ჩამოკიდება

30 წლის წინათ ჯონ ლენონმა „იმეჯენი" („წარმოიდგინე"ძ წაიმღერა, ერთმანეთს სამყარო გავუზიაროთო, ერთ დღეს ერთნი გავხდებითო, რელიგია არ იარსებებსო, არავინ არავის მოკლავსო და ა.შ.... და ხალხმაც „ბითლების" ალუზია სიმღერწამღერებით აიტაცა. ხალხმაო, მოკრძალებულად ვთქვი. ფაქტობრივად, მთელმა მსოფლიომ. ერთგვარი მოდური პოპჰიტიც გახდა. ყველა ფანჯრიდან რომ ისმის. მესამე სამყარომაც აიტაცა. მგონი, ასე უწოდებენ ყველაზე არადემოკრატიულად ღარიბებს თუ ყველაზე ღარიბად არადემოკრატიულებს. ვერაფერს ვიტყვი აფრიკის ქვეყნებზე, სადაც ჩონჩხად ქცეულ ოდნავშესამჩნევად მსუნთქავ ბავშვთა სხეულებს ბუზები ეხვევიან (UNISEF-ის მონაცემებით მსოფლიოში 120 მილიონი ბავშვი სკოლაში არ დადის, აქედან 80 პროცენტი უდაბნო საჰარას მიმდებარე ტერიტორიასა და სამხრეთ აზიაზე „მოდის". მათი უმრავლესობა გოგონები არიანძ. არადა ცივილიზებული სამყარო აგზავნის და აგზავნის იქ ფულს, ჰუმანიტარულ – ჰუმანურ დახმარებას, საქველმოქმედო კონცერტებს მართავს, მაგრამ წყეული აბეზარი მწერები სომალიელების მზისგან ისედაც გახუნებულ კანზე მაინც დალოლავენ. ცივილიზებულებმა კი ბოჩოლას აღფრთოვანებით გააჰიტპარადეს „იმეჯენ" და დროდადრო, როცა „რეგლამენტით" განსაზღვრული ერთიანობის დრო დგება, იმავე ერთიანობის ხუთწუთიან ექსტაზში ლენონის „ჭეშმარიტ კომუნისტურ მანიფესტს" (ლენონი ასე უწოდებდა ძ მღერიან. თუ საჭიროა, სანთლებსა და სანთებელას აანთებენ და სიმღერის რიტმში მარცხნივ-მარჯვნივ და პირიქით იქანავებენ. ვის არ უმღერია იგი. ელტონ ჯონს, მადონასა და დიმა ბილანსაც კი.

განა სიმღერის ანდა ერთიანობის წინააღმდეგი ვარ. არა, რასაკვირველია. უბრალოდ არ მწამს ამ ერთიანობის და რა ვქნა? არც ადრე მწამდა სეროტონინმოძალებული ეფემერულობის და მით უმეტეს – ახლა. მწამს ოჯახ-ნათესავ-ნაცნობ-მეგობრების. ჩვენებურ ქართულად, „ჯიგრულად", როგორც იტყვიან. კიდევ – იღბლის.

ჰოდა, რატომ წავიმღერე ჩემთვის ეს „იმეჯენ"? აი, რატომ: ეს ერთიანობა ერთ წრფეზე, წრეზე, სამკუთხედზე, კვადრატზე თუ სტადიონზე ხელიხელჩაჭიდებულად, ქუჩაში თუ ოფისში, გამგეობის მიტინგზე თუ ჯაჭვად დადგომასთან და სხვა ბევრ რამესთან ერთად, პირადად ჩემთვის არის ტრივიალური, გნებავთ, რუტინული კონტაქტი, კავშირი – უკუკავშირი. შეიძლება ითქვას, რომ იდეალური კონტაქტი, სწორედ რომ, რუტინულია, რომელიც თარგმანში არ იკარგება. არა მეგობრობა, სიყვარული, ნათესაობა ანდა მე – შენ და ამიტომ შენ – მე ურთიერთობა, ანდა რაღაც ინფერნალურნირვანული განცდა. არა. უბრალო კავშირი, უკუკავშირი, კონტაქტი, რომელიც XXI საუკუნეში უფრო გამარტივდა და ეპისტოლარული ჟანრიდან სატელეფონო საუბრების გავლით ტექსტ – მესიჯებსა თუ ემეილგზავნილებად, ჩატსა და სკაიპად ტრანსფორმირდა. არა ცალმხრივი, არამედ – ორმხრივი. როცა არავინ გიცნობს, მაგრამ გცნობს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალოდ ადამიანი და არა „სპამი" ხარ, რომელიც „ჯანქში" შეიძლება გადააგდო ანდა არც დაინტერესდე „სპამია" თუ „არასპამი"; არა საპატიო/არასაპატიო მოქალაქე, საპანთეონე, მეეზოვეთა ინტერესების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის პრეზიდენტის მოადგილის მოვალეობის დროებით შემსრულებელი, ოსკაროსანი, ჟურნალისტი ანდა სამოქალაქო საზოგადოების ჯარისკაცი თუ ნაპრემიერმინისტრალი, ანდა ვინმე „შიშკას" საყვარელი. და პასუხს გცემს. განა პატივს გცემს. უბრალოდ, პასუხს გცემს. რასაკვირველია, კარგია, თუ ეს პასუხი პოზიტიური იქნება. მაგრამ ნეგატიურიც ხომ პასუხია. რაც იმას ნიშნავს, რომ კონტაქტი შედგა. მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, რომ კონტაქტი პროფესიაცაა, რომ თურმე „საკონტაქტო თანამდებობაც" არსებობს, სახელწოდებით „საზოგადოებასთან ურთიერთობა" (P.Rძ. მაგრამ არა – ადამიანთან ურთიერთობა.

როცა პატარა ვიყავი, უკვე გაცნობიერებული მქონდა, თუ რას ნიშნავს ადამიანისთვის სახლი; რომ ქუჩა, განსაკუთრებით გვიან საღამოს, ფაქტობრივად, სახლის ანტიპოდია, მისი „კონტრა". ამიტომ ჩემთვის ვმსჯელობდი: შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს ჯენის ჯოპლინივით (არაა აუცილებელი მისებრი ტალანტი გქონდესძ სახლიდან ამ უსაშველო დიდ სამყაროში გახვიდე, ამ შეუცნობელ, დიდ, ადამიანებით დასახლებულ „ხრამში" ისე გადადგა ნაბიჯი, რომ ეს ნაბიჯი სასიკვდილო შეცდომა არ იყოს? არ გადაიჩეხო? არ დაიკარგო? თან საკუთარ პრინციპებს არ უღალატო? ანუ ვიღაცამ იმიტომ კი არა დაგიჭიროს ჭვავის ყანაში, რომ ვიღაცის ვიღაცა ანდა ვიღაცის ვიღაცის ვიღაცის ვიღაცა ხარ. თუნდაც მეზობლის შვილი, ანდა ამავე უბნელი. არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ – ხარ. არ იყო კარგი დედ-მამის შვილი, არ გქონდეს კოლუმბიის უნივერსიტეტის დიპლომი, საბანკო ანგარიში, არ გყავდეს ძლევამოსილი ძმა/ქმარი/საყვარელი/შვილი/ბაღის მეგობარი ანუ ჩვენებურად პატრონი; არა უბრალოდ პატრონი, არამედ კარგი პატრონი და მხოლოდ ამის გამო არ დაიკარგო თივის ზვინში ნემსზე უფრო წვრილმანი საგნის მსგავსად? შესაძლებელია შენი იდეების ლელო გაიტანო ისე, რომ „არავის მისცე" და დარჩე ისეთად, როგორიც სახლიდან გამოსვლამდე იყავი? ბუნებრივია, გამოცდილებით გამდიდრებული, მაგრამ არა „მიმცემი" ან „ყველაფერზე წამსვლელი"? მაგალითად, ფემინისტი? შესაძლებელია, რომ სწორედ ამ პრინციპებმა ყველაზე მოწყვლადი არ გაგხადოს და სრულიად მარტო არ დაგტოვოს?

პირადად მე, საკუთარი თავის „შესანარჩუნებლად" არაერთხელ გამომიყენებია ის, რაც წესით, დაშინების ან თავდაცვის იარაღთა სიაში არ უნდა იწერებოდეს. ანუ გამომიყენებია ერთგვარი „პატრონი". მთლად პოლიციელივით არა, რომელსაც თუ მისი მუნდირი არა, ლეგიტიმურად ჯიბეში მქონე იარაღი მაინც პატრონობს. მაგრამ გამჭირვებია და საკუთარი თავის თუ სხვის დასაცავად გამომიყენებია. მაგალითად, ჟურნალისტობა. აი, როცა უბრალოდ ადამიანად, ექიმად, მეწაღედ ყოფნა ანდა სახელისა და გვარის ქონა ამ სამყაროში ათასი ჯურისა და სტილის მოძალადისგან თავდაცვისთვის საკმარისი სრულიადაც რომ არაა. არაერთხელ გამომიყენებია მაწანწალა ბავშვებთან ქუჩაში მუშაობის დროს, მაშინდელ სამართალდამცავებთან კონფლიქტის დროს ან კიდევ არაქუჩის „პოლიციელებთან", არამედ აეროპორტის მებაჟეებთან საქმის გარჩევის დროს, როცა ბარგის კონტროლის გავლის შემდეგ თითქოსდა ბარგის ხელახალი შემოწმების საბაბით ცალკე ოთახში „გავუწვევივარ" და რაღაც აბსურდული აბდაუბდის მოჩმახვის და მუქარის შემდეგ 50$-ის ჩუქება „უთხოვიათ". ერთხელ უკრაინაში, ხარკოვში ერთკვირიან სემინარ-კონფერენციაზე „ქალი და პოლიტიკა" მივფრინავდი და თვითმფრინავის ტრაპამდე ერთ უცნაურ „კაბინეტში" აღმოვჩნდი. ჩემდა გასაოცრად (წესით, ჩემი უკვე კონტროლგავლილი ჩანთა უკვე თვითმფრინავის საბარგულისკენ მიმავალ გზაზე უნდა ყოფილიყოძ მაგიდაზე ჩემი ჩემოდანი იდო. ვიღაც დაბალ, ტყავისქურთუკიან მამაკაცს ჩემი ჩანთის ბოქლომზე ხელი დაედო და ჩემთვის გაუგებარ ენაზე მესაუბრებოდა. არა, განა ქართულად არ საუბრობდა. ამ კაცს სხვა 2 მამაკაციც მხარს უბამდა. ჰოდა, ის დაბალი „უბრალოდ" სინდისზე მაგდებდა: „კაი, რა, გოგონი, გაცვია–გახურავს, საზღვარგარეთ მიდიხარ და ხომ ხედავ, მხოლოდ 50$-ს, მათხოვრულ თანხას გთხოვთო". მებაჟეებმა, ამ 50$-ს თუ არ მოგვცემო, ამ ბარგს (ბარგად ჩემი პატარა ჩანთის წოდება ძალზედ გადაჭარბებული იყო, რადგანაც სამი-ოთხი ხელი ტანსაცმლის, უკრაინელებისთვის სასუვენიროდ ჩოხაში გამოწკეპილი თიხის კაცუნებისა და მათთვის დასარიგებელი, „კავკასიური სახლის" გაზეთის „კავკაზსკი აქცენტის" გარდა არც არაფერი იდოძ. მე კი დიქტოფონი და ჟურნალისტის მოწმობა „დამიძვრია" (მაშინ რადიო „თავისუფლებისთვისაც" ვმუშაობდიძ, მისაყვედურია ეროვნულ ვალუტას რატომ არ სცნობთ-მეთქი და ამიტომ ჩემი ტყავისქურთუკებიანი მებაჟე „ძმები" სულ „დაიას" ძახილითა და კეთილი სურვილებით დამმშვიდობებიან.

იმწამს ამგვარი „მათხოვრობის" გადამკიდე, მინდოდა გვარიანი კონფლიქტი ამეტეხა, მაგრამ ვიცოდი, რომ მამა, რომელიც მაცილებდა და რომელმაც დაინახა, როგორ შემიყვანა სამმა ჯეელმა ოთახში, ცდილობდა აეხსნა დაცვისთვის, რომ შვილთან მიეშვათ (არადა არ გაატარებდნენ, ბუნებრივიაძ დაძაბული ელოდა იმ „საკრალური ოთახიდან" ჩემს გამოსვლას. გამოვედი, გაკვირვებულსა და ანერვიულებულს გავუღიმე, ხელი დავუქნიე, ყველაფერი რიგზეა-მეთქი ვანიშნე და მეორე სართულზე ავედი. „სასაცილოა", რომ როცა ერთ კვირაში სამშობლოში დავბრუნდი, იმავე ხალხმა საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ ისევ მიმიწვია იმავე საბაბით. ამჯერად მამა ვერ მხედავდა. მაგრამ „გამოსასყიდი" თანხა რატომღაც 70 დოლარზე ასულიყო. ჰოდა, ჩვენი ერთი კვირის წინანდელი „და-ძმობა" და ლარისადმი პატრიოტული გრძნობები შემიხსენებია, იმიტომაც უფრო მეტჯერ, ვიდრე პირველი „ქეისის" დროს „დაიას" ძახილით გავუსტუმრებივარ.

მახსოვს თბილისიდან გაფრენა მაშინდელ თავდაცვის წიტყვაძუნწი მინისტრის რეისზე დაგვიანების გამო ლამის 5 საათით შეაჩერეს; თვითმფრინავის სალონში კი სწორედ იმ ქალთან ერთად აღმოვჩნდი, ვინც ყველაზე ადრე მოსულიყო აეროპორტში და როგორც ხდება ხოლმე, უცნობებმა ერთმანეთი გავიცანით, გამოველაპარაკეთ, დავკონტაქტდით. ჩემი ყურადღება იმან მიიპყრო, რომ ქალს გვიანსაშემოდგომო ცივი სეზონის შესაბამისად არ ეცვა. გარეთ წვიმდა, ციოდა. მას კი ჩითის ძველი, გახუნებულყვავილებიანი ქვედაწელი ეცვა და ზემოდან – ბამბაზიის მოსაცმელი. მახსოვს ხელზე ვერცხლის ბეჭედი ეკეთა. მგონი, წითელი პლასტმასის თვალით. საშინლად არ მიყვარდა ამგვარი ბეჭდები, ისევე როგორც „მადონას სერვიზი", იმიტომაც დამამახსოვრდა. არადა, ლამის ყოველ მესამეს ეკეთა... თვითმფრინავის სალონშიც ჩემს გვერდით აღმოჩნდა. მახსოვს, მკითხა: „რამდენი წაგართვეს, შვილო?". „ვერაფერიც!" – გაღიზიანებულმა ვუპასუხე და იქვე მივხვდი, რომ ამ კითხვის დამსმელმაც გაიარა 50$-იანის ჩუქების პროცედურა. „თქვენ?" – ვკითხე. „ჩემთვის რა უნდა წაერთვათ? – მიპასუხა, – დამემუქრნენ, დაგბრაკავთო, ბორტზე ვერ ახვალო. ჰოდა, ვუთხარი, ბეჭდის მეტი არაფერი მაქვს-მეთქი. მოიტაო", მითხრა ერთმა. მეც წავიძვრე და მივეცი. ოქრო არააო, მითხრეს. მეტი არაფერი მაქვს-მეთქი. მაინც გამომართვეს". მახსოვს როგორ მომაწვა სისხლი. ერთი კი წამოვიყვირე, რატომ არ ატეხეთ ერთი ამბავი-მეთქი?!... კი, ავტეხდი, მაგრამ აბა, ვინ ან რა დამიცავდაო?– მიპასუხა. რატომ არ დამიძახეთ, ხომ გითხარით, ჟურნალისტი ვარ-მეთქი. შვილო, დაგინახე რომ შეგიყვანეს... მშვიდად გამოხვედი. მეც ასე მშვიდად მინდოდა გამოვსულიყავი. შვილებთან მივდივარ. დიდი ხანია არ მინახავს ისინი. არ მიღირდა დავიდარაბად, შენი ხნის კი არა ვარ. შვილიშვილები მყავს შენი ტოლა... და თან უცნობ ქალს ხომ არ გამოვესარჩლებოდიო.

მახსოვს როგორ ლამის შემძულდა ჩემი ჟურნალისტობაც. ჩემი ასე თუ ისე მოქმედი თავდაცვის საშუალება, მაგრამ რომელიც ერთი კვირის თავზე ისევ დამჭირდა... ეს „იმუნიტეტი" კიდევ არა ერთხელ დამხმარებია, რომელიც უბრალოდ მოკვდავს არა აქვს, რადგან თავდაცვაც ხომ... ძალაა. და მიგრძნია, რომ თუ VIP არა ხარ, არც დიდი ფული გაქვს, მაშინ იმდენად საზრიანი მაინც უნდა იყო, რომ შენს ხელთ არსებული მექანიზმი თუ ბერკეტი გამოიყენო, თუ ხელთ არსებულია, რასაკვირველია. და თუ არა გაქვს თავდაცვის საშუალება (აქ „სასტავში" ყოფნაც იგულისხმებაძ, რომელიც, საყოველთაო არაა, „იგრაკები" და ჭვავის ყანაშიც ვერ დაიჭერ იმათ, ვინც დასახმარებელია...

ჟურნალისტის ბარათი ამერიკაშიც არაერთხელ გამომდგომია, ოღონდ მებაჟეებთან – არა. იმ უკრაინული რეისიდან კიდევ ერთი მოგონება გამომყვა: ცხადად მახსოვს ბიზნეს-კლასში მჯდომი დავით თევზაძის აპარსული სქელი, რიგიდული კისერი, რომელიც მაშინ გამოჩნდებოდა, როცა ბორტგამცილებელი ფარდას გაწევდა ხოლმე. ხელჩანთაში რუსულენოვანი „კავკაზსკი-აქცენტის" (კავკასიური ამბების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმოხილვა. იგზავნებოდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიძ ახალი ნომერი მედო. ბორტგამცილებელს ვთხოვე: ეს გაზეთი იმ ჭაცს გადაეცით-მეთქი. გადასცა. როცა მიწაზე დავეშვით, თვითმფინავს VIP „მარშრუტკა" მოაყენეს და ჩვენი მშობლიური „თავდაცვა" იქ ჩასხეს. როცა სალონს ვტოვებდი, უკრაინელ ბორტგამცილებელს ჩემი გაზეთი ეჭირა ხელში. ვკითხე: „იმ კაცმა წაიკითხა-მეთქი?". „არაო, – გამიღიმა –. აიღო და გვერდით სავარძელზე დადოო. მაგრამ მე რომ დამიტოვოთ, ხომ შეიძლება? მე აუცილებლად წავიკითხავო "...

1990-იანი წლების ბოლოს საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა-რეგისტრაციის ბუმი ატყდა. დასავლეთმა „ენჯიოსა" და გრანტის ცნება შემოიტანა. წერეთ პროექტებიო და მოგცემათო. ანუ თუ კარგად დაწერთ პროექტს და თან ისეთ თემაზე, რომელიც დამფინანსებლის ინტერესებში შედის, დაგიფინანსებთო, შიმშილით სული არ გაგძვრებათო. ჰოდა, ატყდა პროექტების წერა. გაჩნდა ათეულზე მეტი ორგანიზაცია, რომელიც გრანტს იმაში იღებდა, რომ ამდენ არასამთავრობოს პროექტის წერაში ატრენინგებდა. იღბლიანები გრანტის ჩარიცხვასთან ერთად ოფისს ქირაობდნენ (ხშირად ეს ოფისი საკუთარი ბინა იყოძ და სამოქალაქო საზოგადოების რომელმა მშენებელმა მიიღო ან ვერ მიიღო გრანტი იმისდა მიხედვით მიხვდებოდით, უშუქო ქალაქში რომელი ენჯიოშნიკის კარებთან გრიხინებდა „დვიჟოკი"... ერთი სიტყვით, ამ ტრენინგებზე ყველაზე ხშირად გაისმოდა ინგლისური სიტყვა Feedback ანუ უკუკავშირი. უკუკავშირი დონორსა და რეციპიენტს შორის; უკუკავშირი ტრენერსა და სატრენინგო თუ დატრენინგებულებს შორის; უკუკავშირი არასამთავრობოსა და მომხმარებლებს, ანუ ბენეფიციარებს შორის; უკუკავშირი დახმარების გამცემსა და დასახმარებელს შორის; უკუკავშირი გრანტმიღებულებსა და გრანტმიუღებლებს შორის; უკუკავშირი მთავრობასა და არასამთავრობოს შორის; უკუკავშირი ადამიანებს შორის. ანუ გაჩნდა ორგანიზაციები, რომელთა მუშაობის პრინციპი, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ჯენის ჯოპლინივით სახლიდან გამოსულების, იგივე უპატრონოების დახმარება და მათი ჭვავის ყანაში დაჭერა იყო. უბრალოდ, მათი ფუნქცია იყო ეს, ამისთვის იქმნებოდნენ, მაგრამ მოგეხსენებათ, ფუნქციას ერთი ცუდი და მავნე თვისება აქვს. იგი არ სრულდება ხოლმე. აი, დაახლოებით ისევე, როგორც ნერვული სისტემის ფუნქციები, როცა მისია შეუსრულებადია, ანდა ფუნქციონერი მომსახურების ზონიდანაა გასული. ანდა არც კი შემოსულა. თუ სახელმწიფო დაწესებულებამ კანონით დადგენილ ვადაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოგაწოდათ, სასამართლოში შეგიძლიათ უჩივლოთ. თუ არასახელმწიფო „ბიზნესის" წარმომადგენელს, რომელიც, როცა სჭირდება კონიუნქტურისდა მიხედვით ყრუა, მაშინ საჩივრით ვერც ვერავისთან გაიქცევით და ამიტომ ისევ ნაცნობ-მეგობრების ჯადოსნურ ჯოხს აამოქმედებ (ჩაწყობა სხვა თემააძ. თუნდაც იმისთვის, რომ ამ არასამთავრობოზე გახვიდე. ეს უკანასკნელი მეთოდი აპრობირებულია და შესაბამისად – ძალზედ ვიტალური.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ორ ცნობილ ბიზნესმენს იმ სკოლისთვის დახმარების თხოვნის წერილით (ოფიციალურ ბლანკზე, ბეჭედდარტყმული, დირექტორის ხელმოწერითძ მივმართე, სადაც ვმუშაობდი და სადაც გონებრივი განვითარების შეზღუდვის მქონე ბავშვები სწავლობდნენ. სახელმწიფო 3 დეკემბერს, „ინვალიდთა დღეს" ამ ბავშვებს პარლამენტის შენობაში ტორტის მისართმევად „წაასხამდა" ხოლმე. არადა პატარებს სხვა დროსაც სჭირდებოდათ იმ ტერიტორიის დატოვება, რომელზეც წლების განმავლობაში მიჯაჭვულები იყვნენ. ამიტომ გვჭირდებოდა თუნდაც ძველი, მაგრამ გამართულად მომუშავე სამარშრუტო ტაქსი. ავტობუსი ხომ მისწრება იქნებოდა. პირველი დიდი კაცისგან დიდი ხნის ხვეწნა-მუდარის შემდეგ პასუხი მივიღე, რომ ადრე თურმე ამ ბიზნესმენს ვიღაცისთვის სამარშრუტო მანქანა უჩუქებია, უმადურს კი ნარკოტიკების გადასატანად გამოუყენებია. ამიტომ „მარშრუტკას" ვერ მოგცემთო. მეორე დიდმა კი ჩვენი პრიორიტეტი სპორტიაო: თუ ეს ბავშვები ფეხბურთს კარგად თამაშობენ, მაშინ დავფიქრდებითო. მე კი გამკვირვებია: თხოვნის წერილზე ხომ წერია, ეს სატრანსპორტო საშუალება რა ტიპის სკოლის აღსაზრდელებისთვის გვინდა-მეთქი? გამოდის, რომ ტექსტი არც კი წაგიკითხავთ-მეთქი...

ჩემი მცირედი ექსპერიმენტი კი ასეთი გახლდათ: ორი თვის წინათ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ 10 ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციის საიტს ვესტუმრე და დავაწკაპე Contact Us-ს. ორგანიზაციის ემეილის მისამართის მაგივრად იქ სპეციალური შესავსები ფორმა დამხვდა (ეს ჩვეულებრივი პრაქტიკააძ, სადაც საკუთარი ვინაობა, ემეილი, გზავნილის თემა და თავად გზავნილი უნდა ჩაწერო. ორი თვე გავიდა, მაგრამ პასუხი არ ჩანს. არც ერთისგან! მეორედ მივწერე. პასუხი – დუმილი. მერე ნაცნობ-მეგობრებში დავიწყე მათი წარმომადგენლების ტელეფონების მოძიება. „ქველქართულად" თუ საბჭოურად „ჩერეზ-ჩერეზ". მივაგენი კიდეც. გამიხარდა ძველი მეთოდები რომ ისევ „ჯიგრობს". საქმისთვის ასე ჯობს. თან გამახსენდა: როცა ამერიკაში ჩამოვედი (ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისასძ, ავდექი და „თეთრ სახლის" ემეილზე კითხვა გავაგზავნე. როგორც მახსოვს, პირველი ლედების შეხვედრა თუ რომელიღაცა მათგანის წიგნის პრეზენტაცია იგეგმებოდა. ჰოდა, მეც მინდოდა მათზე დამეწერა. პასუხი ერთ დღეში მომივიდა. სამი წლის შემდეგ კვლავ დამჭირდა რაღაცის გარკვევა. კითხვა ინტერნეტით კვლავ „თეთრი სახლის" იმავე მისამართზე გავგზავნე, მაგრამ პასუხი ერთ დღეში რატომღაც არ მომივიდა, ამიტომ, ვიცე – პრეზიდენტ დიკ ჩეინის გავუგზავნე. პასუხი 24 საათში მოვიდა. თანაც არა ზოგადი, არამედ – ზუსტად ისეთი, როგორიც ჩემს კითხვას შეესაბამებოდა. კონკრეტული. სერიოზულ, საკუთარი თავის პატივისმცემელ ორგანიზაციებსა თუ ფონდებში ხომ სპეციალური, კორესპონდენციის დეპარტამენტი არსებობს. რამდენიმე წლის წინათ გაეროში რუსეთის ელჩ ვიტალი ჩურკინთან ინტერვიუს ჩაწერა მინდოდა, მისიაში ემეილი ვაფრინე და, ჩემდა გასაკვირად, ერთ დღეში შემეხმიანნენ. დამირეკეს კიდეც და არა ერთხელ.

ჰო, მართლა, კარგი გამახსენდა: ერთი უნდა ამოვბეჭდო ორივე (ჩურკინის არ მინდაძ ამერიკული წერილი, ხის ჩარჩოში ჩავსვა და კედელზე ვაცლავ ჰაველის პერსონალურად ჩემთვის გამოგზავნილი საშობაო მილოცვის გვერდით დავკიდო...

**ია მერკვილაძე,**
„სრ" საკ.კორ. ნიუ-იორკი, აშშ

◉ ჩვენია, ქართულია

# სიმონს დაუდგინესო — წარუდგენით გინესსო...

**გზად გვანჯი შემომეყარა ბოლოსა გამზირისასა... გვანჯი მანიაზე მოგახსენებთ, ძველ ნაცნობ კოლეგაზე, ჟურნალისტსა და მოგზაურზე. ვიმუსაიფეთ დიდი ხნის უნახავებმა და საკვირველი, თუმცა ფრიად სასიამოვნო ამბები მოვისმინე მოსაუბრის ენა-პირით ერთ ფრიად გამრჯე, წარმატებულ კახურ ოჯახზე.**

ჩემი ამ ჩანაწერის გმირები თელავის **რაიონის სოფელ გულგულას** მკვიდრნი არიანო, 77 წლის მევენახე-მეღვინე **სიმონ გიგიტელაშვილი** და მისი მეუღლე **მერი ჩაველაშვილი** (ასაკს არ დავასახელებთ...ძ. ვინმეს თუ შეუძლია თქმა, შარშანდელი წელი ჩვენთვის ერთობ ნაყოფიერი და პროდუქტიული იყოო, იმათ რიცხვში უთუოდ შევა ხსენებული ცოლ-ქმარი.

მართლაც პროდუქტიული კი წელი დასაწყისშივე გახადეს, როცა 2011-ის 31 იანვარს „ამოავლეს" და საქართველოს ტურიზმისა და კურორტების საინფორმაციო ცენტრში მიიტანეს შესანიშნავი პროდუქტი — თავიანთი პირველი რეკორდული ჩურჩხელა 2011 მილიმეტრი სიგრძისა, ქრისტეს დაბადებიდან განვლილი წლების გამომსახველ რიცხვზე ორიენტირებით; მეტრებში „გადაყვანილი", ჩურჩხელა 2,1-მეტრიანი გამოდის!

მადაგახსნილმა და ამგვარი რეკორდით შეგულიანებულმა მეუღლეებმა, ქალბატონმა მერიმა და ბატონმა სიმონმა წლის ბოლოსკენ, სახელდობრ, 5 ნოემბერს, თანაც პატიოსან მოწმეთა თვალწინ, ახალი რეკორდული ჩურჩხელა დაამზადეს: სიგრძე — 3650 მილიმეტრი, სისქე — 35-40 მილიმეტრი, წონა — 2,1 კილოგრამი! განა ამას დასჯერდნენ — იქვე „გამოაცხვეს" სანიმუშო **ჩურჩხელადი** სიგრძით 1400 მილიმეტრი, სიგანით 90 მილიმეტრი, სისქით 20 მილიმეტრი. სანტიმეტრებში ჩურჩხელის სიგრძე 365-ია (ეს ციფრი დაგვჭირდებაძ, ხოლო ჩურჩხელადის სამი განზომილება იმავე სანტიმეტრებში ასე გამოიყურება: სიგრძე — 140, სიგანე — 9 და სისქე — 2. პატივცემული მკითხველისათვის „ჩურჩხელადი" უთუოდ ახალი ცნებაა და ცოტას თუ მოითმენს, მალე მოისმენს განმარტებას...

სანტიმეტრებში რეკორდული ჩურჩხელის სიგრძლივი ზომა 365 არჩეული გახლდათ 365 წმიდა გიორგის პატივსაცემად, თვით ჩურჩხელა კი ჩაფიქრებული იყო **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის** საჩუქრად, დაბადებიდან 79 (2012 წლის 4 იანვარს რომ აღინიშნაძ და აღსაყდრებიდან 34 (2011 წლის 25 დეკემბერს რომ შესრულდაძ წლისთავისათვის.

კარგად მოგვეხსენება, რომ ჩურჩხელა ახლადდაკრეფილი ყურძნის წვენის, ხორბლის ფქვილისა და ნიგვზისგან დამზადებული ნუგბარია, ეროვნული კვების კულტურის ტრადიციული საუკეთესო ნიმუში და ოდითგანვე ქართველ მეომართა და მოგზაურთა სალაშქრო საზრდო.

ჩურჩხელადს რაც შეეხება, ეს გახლავთ ჩურჩხელისავე მასალისა და კიდევ რამდენიმე სხვა მარგებელ-სურნელოვანი ინგრედიენტისაგან შედგენილი უძაფო, ბრტყელი, მარმელად-შოკოლადის მსგავსი ტურისტული ბრენდი. იმისი იდეა-პროექტის ავტორია სიმონ ჯაფარიძე, პოეტი და ხელოვნებათმოცდნე, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარი და მთამსვლელი ჯაფარიძეთა ღირსეული შთამომავალი.

ახლა, როცა საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან ტურიზმს ამოდენა ყურადღება ექცევა და ქვეყნისათვის ესოდენ სტრატეგიულ, მნიშვნელოვან სფეროდ აღვიქვამთ, ჩურჩხელადი, ალბათ, ერთგვარ როლს შეასრულებს იმის განვითარებაში როგორც სწორედ ტურისტული ბრენდი, თუმცა უცხოელთათვის იოლად წარმოსათქმელი ნამდვილად არ იქნება...



განსაცვიფრებელია, როგორ რეკორდების ფაბრიკად ქცეულა იმ ოქროსხელება კახელი ცოლ-ქმრის ოჯახი რეკორდული ჩურჩხელების გარეშეც: იქ შეხვდებით ამნაირ დიახაც სარეკორდო ფენომენებს, როგორც 16 ათასი ძირი ვაზია, 34-სანტიმეტრიანი სიმინდის ტაროა (ამერიკულის „შთამომავალი" არ გეგონოთ...ძ, 4-ტონიანი ქვევრია; ახლა ოჯახური ტრადიციული წესით დაყენებული ოქროსფერი ღვინო „გიგიტა" (გვარი გიგიტელაშვილი ხომ არ დაგავიწყდათ?). სამკურნალო საფერავი „შავლეგო"!.. დამატებით, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხენის ნალი, ცხოვრების სიგრძეზე გაკეთებულ საქმეთა ვრცელი ნუსხა, სოფლის მაშენებელი 30-ზე მეტი პროფესიის ჩამონათვალი, რომლებსაც ოჯახის უფროსი დაუფლებია (სოფლის შენებას რა უნდაო, სწორედ რომ ბატონი სიმონის სამღერია...ძ!..

...შარშანდელი წლის 19 დეკემბერი იდგა, ნიკოლოზობა-დღე, როცა უწმინდესსა და უნეტარესს, მომავალი ორმაგი თარილის (აღსაყდრებისა და დაბადებისძ პატივსაგებად, რეკორდულ ჩურჩხელასთან ერთად ღვინო „შავლეგოც" მიერთვა. მადლიერმა კათოლიკოს-პატრიარქმა ხელმარჯვე და ხელგამრჯე სიმონ-ბატონი ტრაპეზზე მიიწვია და სურათიც გადაიღო სტუმართან ერთად...

კიდევ რამდენიმე დეტალი ჩემი იმდღევანდელი ჩანაწერიდან: სიმონ ჯაფარიძემ ჩურჩხელადზე საავტორო განაცხადი შეიტანა ქალაქ თბილისის მერიის გამოცხადებული კონკურსის ორ ნომინაციაზე, „გამოგონებები", „დასაქმდი და დაასაქმე" და მიიპყრო კიდევაც ქართული ბანკების ხელმძღვანელთა და სხვა ბიზნესმენთა გულისყური; მალე ფართო საზოგადოებას გიგიტელაშვილების ოჯახისა და თანამოაზრეთა მხრიდან წარედგინა მორიგი რეკორდული ნაწარმი, კვლავ ქართული ტურისტული ბრენდი, 15 მეტრი სიგრძის ჩურჩხელადი; ამოსავალ ზომად ამჯერად აღებულია გოდერძის უღელტეხილზე, ბათუმი-ახალციხის გზატკეცილის 105-ე კილომეტრზე აღმოჩენილი გაქვავებული ვაზის ღერო, რომელსაც ასაკი 15 მილიონი წელიწადი დაუდგინეს!

რეკორდი რამდენჯერმე ვახსენე, თუმცა „მსოფლიოს" თანხლებას მოვერიდე ერთი მოსაზრების გამო: ჩურჩხელას საქართველოს გარე, მგონი, არსად არ და ვერსად ვერ აკეთებენ. არადა, იმ ოქროს ხელებიდან გამოსული ჩურჩხელაცა და ჩურჩხელადიც ჰაი, ჰაი, რომ იმსახურებს მსოფლიო მასშტაბსაც და გინესის რეკორდების წიგნში შეტანასაც. ალბათ წარადგენენ კიდევაც ამ სახელგანსმენილ წიგნში სიმონ გიგიტელაშვილის სახელ-გვარს...

მსოფლიო რეკორდული ჩურჩხელისა (ერთხელ მაინც ვთქვათ ასე!ძ და სანიმუშო ჩურჩხელადის გამომზეურებას ფართო ასპარეზზე კი უძღვება მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი საქართველოს კავშირი „გიორგი" (მკითხველს შევახსენებ, რომ ეს გაერთიანება ემსახურება ეროვნული ფენომენისა თუ კულტურული მემკვიდრეობის, კერძოდ, საქართველოს ყველა კუთხიდან კვების კულტურის გამორჩეული ტურისტული ბრენდების — საკვებისა და სასმელის ნიმუშთა დამზადების, დაგემოვნების, დემონსტრირებისა და შეფასების საქმესძ.

დამრჩენია მკითხველისთვის რეკორდული ჩურჩხელისა და სანიმუშო ჩურჩხელადის „პარამეტრების" დამდგენ-შემფასებელი კომისიის გაცნობა: მარიკა გოცირიძე — ჟურნალისტი, ტელეარხი „რუსთავი-2"; ია დოლიძე — ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალი „მოგზაური"; ჯუმბერ ლეჟავა — მსოფლიო მოგზაური, მეცნიერი, სტუ-ის პროფესორი; გვანჯი მანია — ჟურნალისტი და მოგზაური, „გიორგის" თავმჯდომარე; სიმონ ჯაფარიძე — პოეტი და ხელოვნებათმცოდნე, ჩურჩხელადის იდეა-პროექტის ავტორი.

**თამაზ ებანოიძე**

◉ ესლა გვაკლდა!

# ყველაზე უბედურები მსოფლიოში!

## ახლა იმღეროს და იცეკვოს გაუბედურებული ქვეყნის ხელისუფლებამ კუტუნიოსთან ერთად ტანდემში!

თურმე საქართველოში, რუმინეთში, სერბიაში, პალესტინაში, ლიტვასა და ეგვიპტეში ხალხი თავს ყველაზე უბედურად მიიჩნევს, ამ ქვეყნებში ბედნიერების ინდექსი 10 ქულამდეც ვერ აღწევსო — ეს „შავი ჭირივით" გადამდები სტატისტიკა დადგინდა WIN-Gallup International Asocciations-ის კვლევის თანახმად.



ზემოხსენებულმა ორგანიზაციამ კვლევა გასული წლის დეკემბერში მსოფლიოს 58 ქვეყანაში ჩაატარა და 53 ათასი ადამიანი გამოიკითხა. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ ქვეყნებში თავს ყველაზე ბედნიერად ფიჯის მოსახლეობა მიიჩნევს, სადაც ბედნიერების ინდექსმა 85-ს მიაღწია.

ჩვენთან კი? ჩანს, რომ მოსახლეობის უმავლესობა უბედურად მიიჩნევს თავს. თუმცა ხელისუფალნი თავს იწონებენ, ხალხს ამქვეყნიური სამოთხე შევუქმენითო...განსაკუთრებით „მოგვხიბლა" მეუფე კალისტრატემ, ვინც პრეზიდენტი არწივს შეადარა, რომელიც საქართველოს დღევანდელობას კი არა, მომავალსაც დაჰყურებს თურმე...რომელიც „აშენებს და იცავს" საქართველოს! ერთი სიტყვით, რაღა აღმაშენებელი და რაღა სააკაშვილი!

და საკვირველია, ამ დროს ჩვენი ქვეყანის მოსახლეობა უბედურთა სიაში ლიდერობს! ბედის ირონიაა, აბა, რა?

მაშინ, როცა თავად ტოტო კუტუნიო გვსტუმრობს და საშოგაოდ ლამაზი ჰანგებით გვანებივრებს, რა დროს უბედურებაა? ჩვენ შენებისა და სიმღერების ერი ვართ!

მაგრამ მაინც ხალხს პირს ვერ აუკრავ: ტოტო კუტუნიო და მიშო კრეტინიოო!-ამბობენ. ფერი ფერსაო...მაგრამ ჩვენ რა გვეშველებაო?

ყოველწლიურად ორმაგდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა გადასახადები, მედიკამენტებისა და მკურნალობის ფასები, ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯები, ტურიზმის ბიზნესით გამდიდრებულთა ჯიბეებიო...მთავრობისა და მათი ნათესავების დასვენებისა და გართობისათვის გამოყოფილი სახსრები იზრდება, პრეზიდენტის სამივლინებო ფინანსები აღმავლობის დინამიკით გამოირჩევა...მათ ემღერებათ და არა გაუბედურებულ ხალხსაო...აი, ამიტომაც მოხვდნენ ქართველები უუბედურეს ხალხთა სიაში პირველ ადგილზე!

**ნატა ნიბლაძე**

## დედამიწის ზურგზე



**ავსტრალიაში ცეცხლი გაუჩნდა და აფეთქდა ტურისტული ავტობუსი, რომელშიც ბავშვები ისხდნენ**

**სალონში იყო, სულ ცოტა დაახლოებით 30 ბავშვი, 7-დან 12 წლამდე ასაკისა. როგორც სამაშველო სამსახური იტყობინება, ცეცხლის გაჩენა დროულად შენიშნა ავტობუსის მძღოლმა, რამაც საშუალება მისცა, დროულად მოეხდინათ ბავშვების და მათი თანხმლები მშობლებისა და მასწავლებლების ევაკუაცია. მალე ალმა მოიცვა მთელი სალონი, გაისმა აფეთქების ხმაც.**

* * *

**აშშ ემუქრება ირანს ისლამის რესპუბლიკის მთელი ბირთვული პროგრამის განადგურებით**



**პენტაგონის ხელმძღვანელმა ლეონ პანეტამ დაასახელა უკიდურესი ზღვარი, რის შემდეგაც ვაშინგტონი მზად იქნება, გამოიყენოს სერიოზული ძალოვანი ზომები ირანზე ზემოქმედებისთვის: საკითხი შეეხება ორმუზის სრუტის გადაკეტვას. შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების კომიტეტის თავმჯდომარემ მარტინ დემპსიმ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები მზად იქნება, გაანადგუროს ირანელები.**

* * *

**ირანში დააპატიმრეს აშშ-ს რამდენიმე ჯაშუში**




**ირანის რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრმა (იგი ირანის სპეცსამსახურების ხელმძღვანელია) არ დაასახელა დაკავებულთა ზუსტი რიცხვი, თუმცა აღნიშნა, რომ არის დადასტურებანი მათი განზრახვისა, მოეხდინათ ზემოქმედება ირანში 2 მარტისთვის დანიშნული პარლამენტის არჩევნების მსვლელობაზე.**

* * *

**ისრაელში თავიდან აიცილეს დიდი ტერორისტული აქტი**

**სალემის საკონტროლო-გამტარ პუნქტზე, რომელიც მდინარე იორდანის დასავლეთის სანაპიროს ჩრდილოეთითაა, დააკავეს 4 ახალგაზრდა პალესტინელი, რომლებსაც აღმოუჩინეს 12 თვითნაკეთი ბომბი, სამხედრო ხიშტი-დანები და პისტოლეტი. ამ დროს ორი მათგანი თვითმკვლელი ტერორისტი იყო — მათი ტანსაცმლის შიგნით აღმოაჩინეს სამ-სამი ასაფეთქებელი მოწყობილობა.**



ძიუდო

# ქართველთა კვარტეტი ვაშლების ქალაქში



**წლეულს კიმონოიანთა სეზონი ალმათის (ვაშლების ქალაქს ნიშნავს) მასტერსით გაიხსნება — 14-15 იანვარს ყაზახეთის ყოფილი დედაქალაქი დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, რომელშიც მონაწილეობა წონების მიხედვით მსოფლიო რეიტინგის საუკეთესო თექვსმეტეულის წევრებს შეუძლიათ.** ჩვენებურთაგან ეს უფლება მხოლოდ ოთხეულმა დაიმსახურა — გიორგი ვაზაგაშვილის ხელმძღვანელობით ალმათიში ამირან პაპინაშვილი (60კ, ვარლამ ლიპარტელიანი (90კ, ლომერ ქორქოლიანი და ირაკლი ცირეკიძე (ორივე — 100კ გაემგზავრებიან. სალიცენზიოდ ეს ტურნირი საკმაოდ ბევრ ქულას იძლევა. საქართველოს ნაკრების დანარჩენი წევრები — ბეთქილ შუკვანი, შალვა ქარდავა, ლაშა შავდათუაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი, ამბაკო ავალიანი, ზებედა რეხვიაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი, ბექა ღვინიაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი და ზურაბ ზვიადაური 20 იანვრამდე შეკრების მთავარი მწვრთნელის პეტერ ზაიზენბახერის ხელმძღვანელობით ავსტრიაში გაივლიან, თვის მიწურულს კი თბილისის თასზე იასპარეზებენ.

**ლაშა დიდია**

ჭიდაობა

# წახკაძორში მოემზადებიან



**საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები სალიცენზიო ტურნირებისთვის მზადებას წახკაძორის შეკრებით იწყებენ. მთავარი მწვრთნელების — ზაზა თურმანიძისა და ბეგი დარჩიას ხელმძღვანელობით ჩვენი ფალავნები სომხეთის ოლიმპიურ ბაზაზე 24 იანვრამდე დარჩებიან.**

შეგახსენებთ, რომ ქართველ მოჭიდავეებს 14 წონითი კატეგორიიდან (ორივე სახეობაში) ლონდონის ოლიმპიადის მხოლოდ 5 საგზური აქვთ მოპოვებული — ოთხი თავისუფალში (60 კგ — მალხაზ ზარქუა, 74 — დავით ხუციშვილი, 84 — დავით მარსაგიშვილი, 120 — დავით მოძმანაშვილი) და ერთიც — „კლასიკურში" (66 — მანუჩარ ცხადაია). სალიცენზიო ტურნირები წლეულს 20 აპრილს დაიწყება და 17 დღეს გასტანს ექვს-ექვსდღიანი ინტერვალით: 20-22 აპრილს ფალავნები სოფიაში მოსინჯავენ ძალებს, 27-29 აპრილს — ჩინეთის ქალაქ ტაიაუნში, ხოლო 4-6 მაისს ჰელსინკიში. ამათგან ბულგარეთსა და ფინეთში წონის ფინალისტები, ანუ პირველ-მეორე ადგილებზე გასული მოჭიდავეები დაიმსახურებენ ლონდონში გამგზავრების უფლებას, ჩინეთში კი სამსამ საუკეთესოს გაუღიმებს ბედი.

მათ შორის, ვინც სალიცენზიო ტურნირებისთვის მოემზადება, გახლავთ სახელოვანი ათლეტებიც — ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია (74კ, პეკინის ოლიმპიადის პრიზიორები — ოთარ თუშიშვილი (66კ და გიორგი გოგშელიძე (96კ, ასევე, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55კ, ლაშა გოგიტაძე (55კ, ვლადიმერ გეგეშიძე (84კ, სოსო ჯაბიძე (96კ, გურამ ფერსელაძე, რევაზ ჭელიძე (ორივე — 120კ და სხვები. 20 აპრილისთვის ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, ცხადია, სალიცენზიო ტურნირებზეც ის გაემგზავრება, ამდენად, მწვრთნელები გუნდების სავარაუდო შემადგენლობის დასახელებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

**ლექსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# სეზონი „ოქროთი" გახსნა



**იტალიის ქალაქ რეჯო ემილიაში 25 დეკემბრიდან 6-6 მოჭადრაკე ქალ-ვაჟი წრიული სისტემით (ორ წრედ) საერთაშორისო ტურნირის მთავარ პრიზებს ეცილებოდა ერთმანეთს. ქალებში თბილისელმა დიდოსტატმა სოფიკო გურამიშვილმა იყოჩაღა: 10 შეხვედრიდან მან შვიდი პარტია მოიგო, ორი ყაიმით დაასრულა და 8 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.** გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ბელარუსი დიდოსტატი ანა შარევიჩი (სოფიკომ ერთადერთი ორთაბრძოლა სწორედ მასთან დათმო პირველ წრეში), რომელიც მეორე ადგილს დასჯერდა. მესამე-მეექვსე ადგილებზე გავიდნენ მარია ბრუნელი (იტალია) — 6,5, ივა ვიდენოვა (ბულგარეთი) — 3,5, მარიაგრაცია დე როსა (იტალია) — 3, მარიანა კიერიჩი (იტალია) — 2 ქულა.

ვაჟთა ტურნირი უფრო წარმომადგენლობითი იყო — ექვსივე მონაწილე საერთაშორისო რეიტინგით 2700-იანთა კლუბის წევრი გახლდათ. ქულებიც ექსპერიმენტული წესით დაერიცხათ — მოგებისთვის — 3, ყაიმისთვის — 1 და მარცხისთვის — 0 ქულა. დაძაბული პაექრობების შემდეგ 16 ქულით პირველი ადგილი ახალგაზრდა ჰოლანდიელმა დიდოსტატმა ანიშ გირიმ (2714) დაიკავა. თითო ქულით ნაკლები მოაგროვეს და კოეფიციენტით მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს რუსმა ალექსანდრ მოროზევიჩმა (2762), ამერიკელმა ჰიკარუ ნაკამურამ (2758) და იტალიელმა ფაბიანო კარუანამ (2727), მეხუთე იყო ტურნირის რეიტინგფავორიტი — უკრაინელი ვასილი ივანჩუკი (2775). ბოლო ადგილი რუს ნიკიტა ვიტიუგოვს (2729) ხვდა.

**გივი გაგუა**

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**მართალია, ზოგ-ზოგიერთთა ურაპატრიოტიზმის გამო საქართველოს უძლიერესი კლუბები, რამდენიმე წელიწადია, აღარ მონაწილეობენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, მაგრამ ეს ტურნირი უჩვენოდაც სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და წლეულს სანკტ-პეტერბურგში 19-დან 29 იანვრის ჩათვლით უკვე მეოცედ(!) გაიმართება.**

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ ასპარეზობას კარგა ხნის განმავლობაში მოსკოვი მასპინძლობდა და მხოლოდ რამდენიმე სეზონია, რაც ნევისპირა ქალაქში გადაინაცვლა. ალბათ, საკუთარი კედლების ფაქტორმაც განაპირობა, რომ ყველაზე მეტი — 8 გამარჯვება ერთ დროს თანამემამულეთა წინააღმდეგ გადატანილ ბრძოლებში რუსულმა გუნდებმა მოიპოვეს, აქედან 6 — მოსკოვის „სპარტაკმა". რადგან მთავარი პრიზის მფლობელები ვახსენეთ, ბარემ იმასაც გაუწყებთ, რომ 4-ჯერ უკრაინელებმა ივაჭკაცეს, 3-ჯერ — აზერბაიჯანელებმა, 2-ჯერ — მოლდოველებმა და თითოჯერ — თურქმენებმა და თბილისის „დინამომ" (2004 წ.).

რა შეეხება ბომბარდირებს, მათ დავაში 20 გატანილი გოლით მოსკოვის სპარტაკელი ვლადიმერ ბესჩასტნიხი ლიდერობს. ჩვენებურთაგან სნაიპერთა მარაქაში მიხეილ ყაველაშვილი (თბილისის „დინამო" და ვლადიკავკაზის „ალანია", 16 გოლი) და გელა ინალიშვილი (თბილისის „დინამო", 11 გოლი) არიან გარეულნი.

და ბოლოს: საიუბილეო დსთ-ს ჩემპიონთა თასი „ჩრდილოეთის პალმირაში" ახალი ფორმატით გათამაშდება და მასში საუკეთესო კლუბების ნაცვლად პირველად ითამაშებენ პოსტსაბჭოთა სივრცისა და ბალტიისპირა ქვეყნების ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. ვითომ აწყენდათ ჭაბუკ „ჯვაროსნებს" ასეთ კამპანიაში გამოცდილების გამდიდრება?

* * *

**იტალია.** „ატალანტა" — „მილანი" 0:2, „სიენა" — „ლაციო" 4:0, „ინტერი" — „პარმა" 5:0, „ლეჩე" — „იუვენტუსი" 0:1, „პალერმო" — „ნაპოლი" 1:3, „რომა" — „კიევო" 2:0.

**ესპანეთი.** „რეალი" — „გრანადა" 5:1, „ესპანიოლი" — „ბარსელონა" 1:1, „ვილიარეალი" — „ვალენსია" 2:2.

**ინგლისი.** ასოციაციის თასი; „სიტი" — „მანჩესტერი" 2:3, „ლივერპული" — „ოლდჰემი" 5:1, „ჩელსი" — „პორტსმუთი" 4:0.

# მეკარე — ადამიანების მტაცებელი

**ფეხბურთში მექსიკის ნაკრების მეკარე ომარ ორტისი დააპატიმრეს ადამიანთა მოტაცებაში ბრალდებულ ჯგუფში მონაწილეობისთვის.**

ნუევო-ლეონეს პოლიციის ცნობით, ორტისს ევალებოდა მოსატაცებელი მსხვერპლის შერჩევა, რადგან ის შედიოდა მექსიკური საზოგადოების ელიტაში.

ჯგუფმა მოიტაცა სულ ცოტა 20 კაცი. თითოეულ მათგანში გამოსასყიდად კი თხულობდნენ დაახლოებით 72 ათას დოლარს. მოტაცებულთა შორის იყო ცნობილი მექსიკელი მომღერლის გლორია ტრევის ქმარიც.

35 წლის ორტისი დააპატიმრეს სამ ეჭვმიტანილ თანამზრახველთან ერთად. ფეხბურთელი, „კატასაც" რომ ეძახდნენ, ამას წინათ თავად გაქრა რამდენიმე დღით. პრესა კი ფიქრობდა, რომ ისიც მოიტაცეს. ორტისი პროფესიონალის დონეზე 1997 წლიდან თამაშობდა ჯერ „მონტერეიში", შემდეგ სხვა ადგილობრივ გუნდებში. 2002 წელს, როგორც მეკარემ, ითამაშა მექსიკის ნაკრებში. 2010 წელს კი მას ორი წლით აეკრძალა პროფესიონალურ გუნდებში თამაში დადებითი დოპინგ-სინჯის გამო.



ინტერნეტიდან

# ოლიმპიადისკენ — საკუთარი მკერდით

**დიდ სპორტულ თავყრილობებზე მოხვედრის ათასნაირი საშუალება არსებობს. და არა მხოლოდ სპორტული ოსტატობა. რასაკვირველია, მასთან ერთად ფულიცაა საჭირო, სპონსორებიც, მაგრამ თუ არც ერთი არა გაქვს? ბევრი სპორტსმენი ამ პრობლემას არასტანდარტულად წყვეტს. ამის უამრავი მაგალითი არსებობს, გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს, მსოფლიო პრესაშიც რომ მოხვდა.**

ინგლისელ სპრინტერ ჯეიმს ელინგტონს ისე მცირე სტიპენდია ჰქონდა გამოყოფილი ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციიდან, როდესაც საქმე მივიდა ოლიმპიადისთვის მომზადებაზე, ის მიხვდა,



რომ კერძო მწვრთნელად მუშაობიდან შემოსული ფული აღარ ეყოფოდა.

ამიტომ გადაწყვიტა ფული ეშოვნა... ინტერნეტის საშუალებით, რისთვისაც მან თავი წარადგინა უმდიდრესი მაღაზიის „ე ვაიუს" ინტერნეტში. პოტენციურ სპონსორებს ის დაპირდა, რომ მთელი წლის განმავლობაში — ვარჯიშებზეც, ოფიციალურ შეჯიბრებებზეც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც — სისტემატიურად ატარებდა მათ რეკლამას. ამისთვის კი მას 30 ათასი გირვანქა სტერლინგი უნდა მოეპოვებინა. თქვენ წარმოიდგინეთ, ჯეიმსი „იყიდეს"! მასზე 71 განაცხადი შევიდა 32 550 გირვანქის თანხით, ისე რომ, სპრინტერს შეეძლება ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა 100 და 200 მეტრზე, აგრეთვე ესტაფეტაზე სირბილში.

ეს თანამედროვე სპორტში ბრიტანელის უცნაური სვლის ერთადერთი შემთხვევა როდია. ორი წლის წინათ ფრანგი ჭოკით მხტომელი რომან მესლინი იძულებული გახდა, სპონსორის მოსაძებნად პარიზის ქუჩებში შიშველს ერბინა. მის მთელ „ჩაცმულობას" ჭოკი შეადგენდა. შთამბეჭდავი შედეგი გამოვიდა. მესლინის ამბავმა პრესის საშუალებით მთელი მსოფლიო შემოიარა. სპონსორებიც გამოჩნდნენ.

რუსი ჭოკით მხტომელის ელენა ისინბაევას გულშემატკივრებს ის ექნებათ დასანანი, რომ მათ კერპს ფული არ უჭირს და არც გაშიშვლდება. სამაგიეროდ, თავისი სხეულით გულშემატკივრების და საზოგადოების ყურადღების მიზიდვა დასჭირდა ერთბაშად სამ სამთო მოთხილამურეს იტალიის ნაკრებიდან, უფულოდ რომ დარჩნენ — ირინა ჩერტონის, ჯულიანო ჩენტიანჯოსა და ანა მარკონის. მათ ფოტოგრაფიც მიიწვიეს, მოაწყვეს ფოტოსესია, გაშიშვლდნენ და ფოტოსურათები გაუგზავნეს ჟურნალ-გაზეთებს სპონსორებთან მოწოდებით.

ასევე მოიქცა ესპანეთის პირველი დივიზიონის ხელბურთელთა მთელი გუნდი, კრიზისის შემდეგ უსახსროდ რომ დარჩა. კლუბის Orsan Elda ხელბურთელები გაშიშვლდნენ გასახდელში. ფოტოები კი გამოაქვეყნეს ესპანეთის პრესაში და უდიდესი რეზონანსიც გამოიწვიეს. გაბედული ხელბურთელებისთვის ფული მაშინვე გამოიძებნა.

**სურათზე: ესპანელი ხელბურთელი ქალების გუნდი.**

# აზარენკო არ თხოვდება?

**ახლა ავსტრალიის სიდნეიში მყოფმა ბელორუსმა ჩოგბურთელმა ვიქტორია აზარენკომ, იქ რომ უნდა დაიწყოს დიდი ტურნირი, თავის საიტში სასაცილო ისტორიას მოჰყვა.**

„დილით წავედი ყავის დასალევად. ჩემთან საიდანღაც მოვიდა ვიღაც ჭაბუკი, მითხრა, ხომ არ გინდათ, დღესვე ცოლად გამომყვეთო. სასაცილო ვინმეა. მე ვუპასუხე — არა-მეთქი. თან დავამატე, რომ მე მათი ლიგიდან არ ვარ. ეს კი ისე ვუთხარი, რომ მას თავი ეგრძნო ლამაზად და განსაკუთრებულად. მაგრამ არა მგონია, რომ რამე გამომივიდა". თანაც გაიცინა.



ეს ჩანაწერი, შესაძლოა, მსოფლიოს არ ენახა, რადგან ჩოგბურთელს სიდნეიში ჩაფრენისას კომპიუტერი გაუტყდა. არც ტელეფონი მუშაობდა, როგორც თავად ჩოგბურთელი ამბობს, კიდევ კარგი, რომ ისინი შეაკეთა.

ხსოვნა

# გერა ხეჩინაშვილი



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, მრავალი სამოქალაქო და სამრეწველო დანიშნულების ობიექტის პროექტის ავტორი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი გერა სერგის ძე ხეჩინაშვილი.

გერა ხეჩინაშვილი დაიბადა 1926 წელს ქ. სიღნაღში. 1943 წელს დაამთავრა თბილისის მე-15 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, არქიტექტორის სპეციალობით, რომელიც 1948 წელს დაამთავრა.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს საპროექტო ინსტიტუტ საქგიპროშახტში, სადაც გაიარა გზა რიგითი არქიტექტორიდან ინსტიტუტის მთავარ არქიტექტორამდე. გარკვეული წლები მუშაობდა თბილისის ზონალურ ექსპერიმენტულ ინსტიტუტში (1962-1967 წ.წ.ძ.

გერა ხეჩინაშვილი, როგორც პროექტის მთავარი არქიტექტორი, მრავალი მიმართულებით მუშაობდა. მას დაპროექტებული აქვს ადმინისტრაციული და სამრეწველო ობიექტები, დასახელებული ობიექტების გენერალური გეგმარება, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, სასტუმროები, კულტურის სახლები, საბაგირო გზების სადგურები, სავაჭრო და კვების ობიექტები (რესტორნები, კაფეები, ბარებიძ და მრავალი დიდი თუ მცირე ზომის პროექტი.

გერა ხეჩინაშვილის მიერ დაპროექტებული და აშენებულია ობიექტები როგორც საქართველოში – თბილისში, გაგრაში, ტყვარჩელში, ტყიბულში, წყალტუბოში, ბორჯომში, ყვარელში და სხვა, ასევე ყოფილ საბჭოთა კავშირის ქალაქებში – კისლოვოდსკში, სოჭში, ესენტუკში, პიატიგორსკში, ჟელეზნოვოდსკში, მახაჩყალაში და სხვა.

გერა ხეჩინაშვილი ხშირად მონაწილეობდა სხვადასხვა კონკურსში, სადაც მიღებული აქვს პრემიები და ჯილდოები. 1999 წელს მან შექმნა არქიტექტურული და მხატვრული გაფორმების სამუშაოების წარმოებისთვის საკუთარი ფირმა „მუზა“, სადაც სიცოცხლის ბოლო დღემდე აგრძელებდა მოღვაწეობას.

გერა ხეჩინაშვილი იყო საქართველოს არქიტექტორთა, მხატვართა და დიზაინერთა კავშირების წევრი.

1971 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის საპატიო წოდება, ხოლო 1973 წელს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეტანილ იქნა სტატია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

1983 წელს მას მიენიჭა რუსეთის „სახმშენის“ პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება, ხოლო 2002 წელს იგი დაჯილდოვდა საქართველოს „ღირსების ორდენით“.

2004 წელს თბილისში, საქართველოს ეროვნულ გალერეაში შედგა გერა ხეჩინაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. გამოფენის გახსნის ცერემონიაზე მრავალმა ორატორმა აღნიშნა, რომ არქიტექტორ გერა ხეჩინაშვილის შემოქმედება გამოირჩევა მაღალი ოსტატობითა და შესრულების ფრიად ორიგინალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერით.

ჩვენგან წავიდა ღვაწლმოსილი შემოქმედი და უმწიკვლო ადამიანი გერა ხეჩინაშვილი.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

---



მეუღლე თინა ლოლუა, შვილები გიორგი, ქეთევანი, სიძე თამაზ შილაკაძე, შვილიშვილები ნინო, გიორგი შილაკაძეები ოჯახებით, შვილთაშვილები თამაზი, რეზო, ნიკოლოზი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გერა სერგის ძე ხეჩინაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11, I, 17 სთ. გამოსვენება 12, I, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №28, IV სად.

---

ინსტიტუტი „საქგაზმეცნიერება“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი

**გერა სერგის ძე ხეჩინაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 10, 11 I, 17 სთ. გამოსვენება 12, I, 14 სთ. მის. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №28, IV სადარბაზო.

---

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი

**გერა სერგის ძე ხეჩინაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გარდაიცვალა **გერა სერგის ძე ხეჩინაშვილი**, ცნობილი არქიტექტორი, ჭეშმარიტი შემოქმედი, ღირსეული მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა, რომლის შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სინანულით იუწყება ბატონ გურამის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

მერაბ ბერძენიშვილი

---

შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ თამაზ შილაკაძეს სიმამრის

**გერა სერგის ძე ხეჩინაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბატონ თამაზ შილაკაძეს, თავის ძველ მეგობარსა და ავტორს სიმამრის

**გერა სერგის ძე ხეჩინაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

გახსენება

# ბორის გადელია



კაცი, რომელიც დააკლდა საქმოს... ჩვენი აზრით, ოდნავ პერიფრაზირებული ეს ცნობილი პოეტური სტრიქონი მიესადაგება და გამოხატავს ყველაზე სრულად ჩვენს – ჭეშმარიტად დიდებული პიროვნებისა და მოქალაქის, უღალატო მეგობრის, საქმოს გამორჩეული წევრის ბორის გადელიას გახსენებისადმი მიძღვნილი ამ მოსაგონარის ხელმომწერთა განწყობას.

დიახ, სწორედ ჩვენს – მის მეგობართა – განწყობას, თორემ სინამდვილეში ბორის გადელია, თუმცა ეს შეიძლება გადაჭარბებულ ნათქვამადაც მოეჩვენოს მავანს, დააკლდა არა მარტო თავის საქმოს, არამედ ქვეყანას, როგორც ერთი ღირსეული წევრი საზოგადოებისა, რომლის მსგავს წევრთა ერთობლიობა-თავდადებითაც მოაღწია დღემდე საქართველომ.

მავანსო, ხაზგასმით ვთქვით, რადგან ნებისმიერი, ვისაც მასთან მეგობრობა-ახლობლობის კი არა, თუნდაც უბრალოდ ნაცნობობის ბედნიერება ჰქონია, დაგვეთანხმება, რომ ბატონი ბორისი, თუ კვლავ პოეტურ სტრიქონს მოვიშველიებთ, კაცი იყო, ვით შეშვენის კაცსა კაცობა...

ამ კაცობით ცხოვრობდა და ილვწოდა ყველგან და ყველაფერში – ოჯახშიც, საქმეშიც, სამეგობროშიც... უკაცურს, უკადრებელს მტერთან ურთიერთობაშიც არ იკადრებდა, იქაც ვაჟკაცი და გულმართალი იყო.

მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილი და კარგი შვილების აღმზრდელი, კარგი დედმამიშვილი და მეოჯახე, მეგობრობის მეხოტბე და მისი ერთი ბურჯთაგანი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ბორის გადელია, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მშენებლობას შეალია და წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციას, მისთვის ორგანულად დამახასიათებელი საქმიანი თუ ადამიანური თვისებების გამო ყველგან დამსახურებული ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა...

წელიწადი გასრულდა მისი გარდაცვალებიდან. ღმერთმა ნათელში ამყოფოს. მისი ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულში.

მეგობრებისა და ახლობლების ჯგუფი

---

შვილები სოფო, მამუკა კალანდაძეები, სიძე გიგი მიქაძე, რძალი თამარ ორკოდაშვილი, შვილიშვილები სალომე, ანა, დემიკო მიქაძეები, ნიკუშა, ანდრია კალანდაძეები, მძახლები მანანა, დემურ მიქაძეები, მზია გაზდელიანი, ზურაბ ორკოდაშვილი იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**ჯუმბერ (ჯუბა) კალანდაძე**

პანაშვიდი 10, 11 I, 16 სთ. მის. ყიფშიძე, გაბაშვილის 4. II სადარბაზო, მე-9 სართული, გამოსვენება 12, I, 14 სთ. საბურთალოს ველოტრეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან.

---

მანანა, დემურ მიქაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯუმბერ (ჯუბა) კალანდაძე**

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ჩვენს ძველ მეგობარსა და ავტორს ბატონ დემურ მიქაძეს უახლოესი ადამიანის

**ჯუმბერ კალანდაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე გულიკო ვარადაშვილი, შვილები კახაბერ, ნინო, რძალი ნინო ქათამაძე, შვილიშვილი ირაკლი კახიანი, ძმები იმედა, ზურაბ კახიანები, რძლები ფლორა, ნატა, ძმისწულები ეკა, გაგა, იმედა კახიანები ოჯახებით, ცოლისძმა შარმაზან ვარადაშვილი ოჯახით, რძალი ნანი ბულბულაშვილი ოჯახით, მძახალი ალეკო ქათამაძე ოჯახით იუწყებიან

**რევაზ (სულიკო) ვლადიმერის ძე კახიანის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი 8, 9, I, საბურთალოს ქ. №31, მე-2 სად. მე-8 სართული, დაკრძალვა 10, I, 14 სთ. გამოსვენება ანტონ მარტყოფელის სახელობის ეკლესიიდან. საბურთალოს ქუჩაზე იპოდრომთან.

---

ნუნუ, გურამ, გოგი, კოკა მგელაძეები, ეკა, სოფო კილაძეები იუწყებიან უახლოესი მეზობლის

**სულიკო კახიანის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს, იმედა და ზურაბ კახიანებს.



შვილები ნატო, პაატა ბურჭულაძეები, შვილიშვილები შუქრი, ლექსო ბურჭულაძეები, ნინო, ლანა გააკაშვილები, სიძე თემურ გააკაშვილი, რძლები ანჟელა ვასილენკო, სალომე ნაკაშიძე, თათა არაბული, შვილთაშვილები ანა, დათი, ირინა, გიორგი, მაზლიშვილები დათო, თენგო, თემურ ბურჭულაძეები, მაზლისცოლი ინგა თორაძე, მამიდაშვილი ნათელა ჟღენტი, ბერი ლუკა (ფალავანდიშვილი), მძახლები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუნუ ალექსანდრეს ასული**

**ჭანტურიძე-ბურჭულაძე**

პანაშვიდი 10, 11 I, 17 სთ. პეკინის ქ. №3. გამოსვენება 12 I, 14 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდი „ივერიისას“ სამეთვალყურეო საბჭო და თანამშრომლები თანაუგრძნობენ ფონდის დამფუძნებელს ბატონ პაატა ბურჭულაძეს დედის

**ნუნუ ალექსანდრეს ასულ**

**ჭანტურიძე-ბურჭულაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

ფონდ „იავნანას“ გამგეობა და თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ პაატა ბურჭულაძეს დედის

**ნუნუ ალექსანდრეს ასულ**

**ჭანტურიძე-ბურჭულაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

მაია და გურამ ახალაიები ოჯახით თანაუგრძნობენ პაატა და ნატო ბურჭულაძეებს დედის, უკეთილშობილესი ადამიანის

**ნუნუ ალექსანდრეს ასულ**

**ჭანტურიძე-ბურჭულაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და უახლოეს ნათესავებს.

---

გივი კვიჭიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ნუნუ ალექსანდრეს ასული**

**ჭანტურიძე-ბურჭულაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ პაატა ბურჭულაძეს საყვარელი დედის

**ნუნუ ალექსანდრეს ასულ**

**ჭანტურიძე-ბურჭულაძის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები ლია გიგაური, მზია ქაჯაია, ნალინა ძაგანია, მაკა ხიზანიშვილი, გურამ ახალაია, სპარტაკ ქობულია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლენა სტურუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის დიდ ოჯახს.

პანაშვიდი 10, 11 I, 16 სთ, გამოსვენება 12 I, 14 სთ. ფანასკერტელის ქ. №20, ბინა 64.

## დაიჯესტი

### „ჯოკონდა“, სარეცხი მანქანა, ულტრაბგერა და...



**ლეონარდო და ვინჩის უზარმაზარი შემოქმედება ბოლომდე შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის. შვეიცარიული პრესის ცნობით, ქალაქ ლოზანის ერთ-ერთი ბანკის სეიფში... მეორე „მონა ლიზაა“ დაცული! სხვათა შორის, ლუვრის ფერწერის განყოფილებაში არსებობს ცნობები იმის თაობაზე, რომ აღორძინების ეპოქის გენიამ „ჯოკონდა“... ორჯერ დახატა!**

ლეონარდოს მრავალრიცხოვან პროექტებს შორის ასევე აღმოაჩინეს... სარეცხი მანქანის ნახაზები! მასში რეცხვა უსაპნოდ, თან ცივი წყლით ხდებოდა. თანხმლები ჩანაწერების გაშიფვრის შემდეგ გაოცებულმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ დავინჩის სარეცხი მანქანა... მასალების ულტრაბგერითი განცალკავების პრინციპით მოქმედებდა! როგორც ჩანს, მან პირველმა აღმოაჩინა, რომ ულტრაბგერა, რომელსაც ადამიანის სმენა ვერ აღიქვამს, ქსოვილს ჭუჭყს აცილებს და მას ასუფთავებს.

### ნეოლითური რევოლუცია

**დედამიწაზე მომხდარ აუარება სხვადასხვა ტიპის რევოლუციას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, უდავოდ, დაახლოებით 10-12 ათასი წლის წინათ მოხდა. მაშინ ადამიანები მეურნეობის წარმოების ახალ სტილზე გადავიდნენ – ნადირობისა და შემგროვებლობის შემდეგ მათ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მიჰყვეს ხელი.**

სწორედ მაშინ იყო, რომ ადამიანმა მრავალი ათასწლეულის წინათ დედაბუნებასთან დადებული „ხელშეკრულება“ დაარღვია და „თამაში“ საკუთარი წესებით დაიწყო, რომელთა ჩამოყალიბება ეგრეთ წოდებულ „ნეოლითურ რევოლუციას“ მოჰყვა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ამგვარი საქმიანობა ბუნებისთვის უცხო არც მანამდე ყოფილა: ჭიანჭველების მრავალი სახეობა ტილებს მეწველი ძროხებივით მწყემსავენ, რომლებსაც წველიან, ხოლო სხვები, მაგალითად, ფოთოლმჭრელები... სოკოს პლანტაციებს აშენებენ!



### ცხოველთა „მუსიკის არომატი“

**ცხოველები რთულ არომატულ სამყაროში ცხოვრობენ – სუნები მათ ქცევას დიდად განსაზღვრავენ. ამასთან, გასაოცარია, რომ მგრძნობიარე ყნოსვის მქონე ცხოველებს, ზოგადად, ძალზე აინტერესებთ სხვადასხვა არომატები, დაეძებენ მათ, საგულდაგულოდ იკვლევენ ისე, რომ ამას მათთვის არავითარი პრაქტიკული სარგებლობა არ მოაქვს. მაგრამ ყველაზე გასაკვირი მაინც ის არის, რომ ამას უდიდესი სიამოვნებით აკეთებენ.**

მათ ყველაზე უცნაური არომატები იზიდავენ. ეს, შესაძლოა, ძველი ლორის, თევზის გამხმარი, ან შავი პურის, ნავთის, ფორთოხლის ქერქების, ვალერიანის, ხახვის, სიგარეტის ნამწვის, მჟავის ან ლაყე გვერცხის სუნი იყოს, ყველას ჩამოთვლა, უბრალოდ, შეუძლებელია. თანაც, ისე კი არ ხდება, რომ მხეცმა რაღაც დაყნოსა და მერე გზა განაგრძო – იგი მის აყოლებას ცდილობს, რისთვისაც ზედ მოძრაობას იწყებს. ზოოლოგები ასეთ საქციელს „ტერგორის რეაქციას“ უწოდებენ, რომელიც ყველა მტაცებელს – ძაღლებს, დათვებს, მელიებს, ლომებს, ჯიქებს და სხვებს ახასიათებთ. რისთვის სჭირდებათ ეს? იმისთვის, რომ სხვებსაც შეატყობინონ საჭმლის ადგილსამყოფელი? ეს ასე თუნდაც იმიტომ არ უნდა იყოს, რომ იმ სუნთა უმრავლესობა, რომლებიც მხეცებს იზიდავენ, საჭმლის თაობაზე არანაირი ინფორმა-



ციის შემცველი არ არის. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ცდილობენ მის ტანზე მიცხებას, თანაც მისი დაყნოსვა და მოფრთხილებაც სიამოვნებთ.

მკვლევარები ეჭვობენ: თუკი ცხოველთათვის სუნს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი მათთვის იმავე როლს ასრულებს, რასაც ადამიანთათვის – მუსიკა? თავდაპირველად ბგერებსაც ხომ მხოლოდ ინფორმაცია გადაჰქონდათ, მაგრამ თანდათანობით მათ ჰარმონიულმა შერწყმამ ადამიანებისთვის სიამოვნების მონიჭება დაიწყო. მაშ, იქნებ ცხოველის ბეწვზე დატანილი სუნი ერთგვარად ხანგრძლივად ჟღერადი „სურნელოვანი მუსიკაა“?

სუნის როლი ცხოველთა ცხოვრებაში ადამიანს დიდი ხანია აინტერესებს, თუმცა ამ ინტერესს, ძირითადად, მეცხოველეები და მონადირეები იჩენდნენ, რომლებმაც იციან, თუ რა სუნი უფრო იტყუებს მხეცს ხაფანგში. მაგალითად, ცნობილია, რომ მგლები შორიდან მიდიან სისხლისა და ლეშის სუნზე, კურდღლებს კი ოხრახუშის, ჟოლოს ნახარშის და, წარმოიდგინეთ... ცხენის შარდის სუნი იზიდავთ! ხარირემს „გონებას“ ებინდება ხახვისა და ნივრის სუნი რომ ეცემა, კვერნა, დათვი და სიასამური ყოველგვარ სიფრთხილეს თაფლის სუნზე კარგავს, მელიას კი ყველის სუნი იზიდავს...

**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“

29 9-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

– გინდა უფასოდ გირჩიო კარგი რამე?

– უარს არ ვიტყოდი.

– არასოდეს არ დაუგდო ყური უფასო კარგ რჩევებს.

* * *

მიხოს გაღვიძებისთანავე გაახსენდა დაძინებამდე მოსმენილი ფრაზა – სილამაზე გადაარჩენსო სამყაროს. მერე მძინარე ცოლს დახედა და მიხვდა, რომ სამყაროს უკვე არაფერი უშველიდა.

* * *

ისწავლეთ წინაპართა შეცდომებზე – ატარეთ პრეზერვატივები.

* * *



– ეს ვინ არის?

– ჩემი საყვარელია.

– შე მახინჯო, შენთვის კი არ დამისვამს ეს კითხვა, ჩემს ცოლს ვეკითხები!

* * *

– მიხო, რად უყვიროდი წუხელ მაროს?

– იმიტომ, რომ არ მითხრა, სად დახარჯა ფული.

– კარგი, მაგრამ ამ დილით რატომ უყვიროდი?

– დილით მითხრა, რაშიც დახარჯა.

## ინფორმაცია

### მეზღვაურები მეკობრეების ტყვეობიდან გაათავისუფლეს

**სომალელი** მეკობრეების ტყვეობიდან გათავისუფლებულ ქართველ მეზღვაურებს საქართველოში 14 იანვრის შემდეგ ელოდებიან. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს პრესსამსახურში განუცხადეს.

მეზღვაურების გათავისუფლების პირობებსა და დეტალებზე სააგენტოში ამ ეტაპზე კონკრეტულ კომენტარს არ აკეთებენ. თუმცა სააგენტოში აღნიშნეს, რომ მეკობრეებისთვის გამოსასყიდის გადახდა არ მომხდარა.

„კომენტარს ჯერ არ ვაკეთებთ, გვინდა, რომ მივიდნენ მეზღვაურები დანიშნულების ადგილამდე. სანამ ისინი ზღვაში არიან, მეზღვაურების უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, კომენტარს არ ვაკეთებთ. მეზღვაურების გათავისუფლების შესახებ განმარტებები, მას შემდეგ გაკეთდება, რაც ქართული მხარის კონტროლირებადი გემი აფრიკის ერთ-ერთი ქალაქის პორტში შევა“, – აცხადებენ სააგენტოს პრესსამსახურში.

საზღვაო სააგენტოს ცნობით, ქართველ მეზღვაურებთან ერთად იმყოფებიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილი, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს კაპიტნები თეიმურაზ შერვაშიძე და მამუკა ახალაძე.

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24